პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

□ ოთხშაბათი 7 ივნისი 1978 წ. □ № 133 (17177) □ ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

ხარისხზე ზრუნვით

ნაყოფიერად შრომობს ხუთწლედის მესამე, დამკვრელურ წელს თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" კოლექტივი. განვლილ ხუთ თვეში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონ 984 ათასი მანეთისა გამოშვებულია 3 მილიონ 115 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, დამზადებულია 3 მილიონ 657 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, აქედან მილიონ 850 ათასი ცალი საბავშვოა. მომხმარებელმა მიიღო 6.700 ცალი სპორტული მაისურები ოლიმპიური სიმბოლოთი, გეგმა კი 3.300 ცალის დამზადებას ითვალისწინებდა.

„საქტრიკოტაჟში" განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. საწარმოს ასორტიმენტის 80,7 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მიღწეულ წარმატებებში დიდია მკერავთა ბრიგადების წვლილი, რომელთაც გამოცდილი მუშები ა. სიგუა და მ. ხამაძაშვილი ხელმძღვანელობენ. (საქ. კორ.).

250 ტონით მეტი

ახალციხე. (საქ. კორ.). მოსხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მაღალპროდუქტიული რქიანი პირუტყვის ინტენსიური სუქება. ... კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე შეასრულა ივნისისათვის განსაზღვრული სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება. ნაცვლად 596 ცენტნერისა სახელმწიფოს მიჰყიდა 846 ცენტნერი ხორცი.

აღსანიშნავია, რომ მიყიდული ხორცის 90 პროცენტზე მეტი მსუქანია, ხოლო სახორცედ ჩაბარებული 204 სული ინტენსიურად ნასუქი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულიდან თითოეულის საშუალო წონამ 307 კილოგრამი შეადგინა.

კოლმეურნეობაში ამჟამად კიდევ 500-მდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეული ჰყავთ დაყენებული ინტენსიურ სუქებაზე, საიდანაც 100 სულს ივნისის ბოლომდე ჩააბარებენ, დანარჩენს კი მესამე და მეოთხე კვარტალში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ადგილობრივი კადრების მომზადების სრულყოფისათვის, მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

ამავე დროს, ნათქვამია დადგენილებაში, მთლიანად ვერ ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის შესაძლებლობანი. ნელა ვითარდება სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგი, საკმარისად არ არის გამოყენებული ხელშემწყობი ბუნებრივ-კლიმატური პირობები ჩაის, ციტრუსების, ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულისა და ხილის მოვლა-მოყვანისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის.

სათანადოდ არ განვითარებულა მელიორაციის, დაჭაობებული და ნასვენი მიწების ათვისების სამუშაოები.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა მეტი ზრუნვა აფხაზეთის ბუნების, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროს, როგორც ქვეყნის უნიკალური სუბტროპიკული რაიონისა და მსხვილი საკავშირო კურორტის დაცვისათვის.

უნდა გადაწყდეს, ხაზგასმულია დადგენილებაში, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, რესპუბლიკის ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის ზოგიერთი საკითხი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ცნობად მიიღეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს და ახორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის ღონისძიებებს.

იმ მიზნით, რომ განვითარდეს აფხაზეთის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგები, აგრეთვე უფრო სრულად იყოს გამოყენებული ადგილობრივი შრომითი რესურსები, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს დაავალეს 1982 წლისათვის გაარკვეონ ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" სიმძლავრენი; სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს — მოაწყოს 1978-1980 წლებში ქალაქ ტყვარჩელში სამრეწველო საწარმო; სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს — 1980-1982 წლებში ქალაქ ტყვარჩელში ააშენოს კერამიკული საკედლე მასალების ქარხანა, რომლის სიმძლავრე იქნება 60 მილიონი ცალი პირობითი აგური წელიწადში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად უნდა განიხილონ ამ საწარმოში კერამიკული საყოფაცხოვრებო ნაწარმის გამოშვების ორგანიზაციის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1979-1981 წლებში უნდა უზრუნველყოს ბოსტნეულის წარმოებისათვის სასათბურო კომბინატების მშენებლობა 72 ჰექტარ ფართობზე ოჩამჩირისა და გალის თერმული წყლების ბაზაზე, აგრეთვე წელიწადში 8 მილიონი ბროილერის სიმძლავრის მეფრინველეობის ფაბრიკის აშენება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რჩევა მიეცა 1979-1981 წლების გეგმათა პროექტებში გაითვალისწინოს საჭირო კაპიტალური დაბანდებანი ამ მიზნით. „საკსოფლტექნიკას" დაევალა უზრუნველყოს მოწყობილობის დროული მიწოდება და დამონტაჟება.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ დაჭაობებული და ნასვენი მიწების ათვისების დაჩქარებისა და პლანტაციათა რწყვის ღონისძიებანი, რათა გაიზარდოს აფხაზეთში სუბტროპიკული კულტურების წარმოება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ გადაწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, რომ 1979 წელს შეწყდეს ხე-ტყის დამზადება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტყეებში და ამასთან დაკავშირებით შემცირდეს 140 ათასი კუბური მეტრით საქართველოს სს რესპუბლიკაში მერქნის გამოტანის მოცულობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადება მიეცათ გადაწყვიტონ საქართველოს სს რესპუბლიკაში ქვეყნის სხვა რაიონებიდან შესაბამისი რაოდენობის ხე-ტყის შეზიდვის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ, სსრ კავშირის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა 1979-1982 წლებში უნდა დაამთავრონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ გაუწმენდავი სამრეწველო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების გადაგდების სრულ შეწყვეტას ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში: სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთაში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ოჩამჩირეში, გულრიფშში, ლესელიძეში, განთიადში.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადება მიეცა 1979-1982 წლების წლიური გეგმების პროექტებით გაითვალისწინოს, რომ გამოუყოს კაპიტალური დაბანდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება ეძლევათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით ამ მიზნით წილობრივი მონაწილეობის წესით გამოჰყონ კაპიტალური დაბანდება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1979-1985 წლების გეგმების პროექტებში უნდა გაითვალისწინოს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ფარგლებში შავი ზღვის გზატკეცილის რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესრულება, მათ შორის გზების მშენებლობა ქალაქების სოხუმის, გაგრის და კურორტ ახალი ათონის გვერდის ავლით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წინადადება სოხუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ და დაავალეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაონ და ხუთი თვის ვადაში შეიტანონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროსა და კავშირგაბმულობის სამინისტროს დაევალათ უზრუნველყონ სატელევიზიო გადაცემათა ორგანიზაცია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამ მიზნით სამი თვის ვადაში გამოჰყონ მოძრავი სატელევიზიო სადგური და სხვა საჭირო მოწყობილობა და აპარატურა დროებითი სქემით ტელეგადაცემებისათვის, ხოლო 1980 წელს შექმნან სტაციონარული სატელევიზიო სადგური.

ცნობად არის მიღებული, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ითვალისწინებს 1979-1980 წლებში სოხუმის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახლის დაპროექტებასა და მშენებლობას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა 1979-1985 წლების გეგმების პროექტებით გაითვალისწინოს კაპიტალური დაბანდების გამოყოფა იმისათვის, რომ აფხაზეთში აშენდეს 100 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, 1.000-საწოლიანი მრავალპროფილიანი საავადმყოფო კომპლექსი, სკოლები 10 ათასი მოსწავლისათვის და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი 1.000 ბავშვისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციული შენობა სოხუმში.

საჰაერო, საზღვაო და რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და გზათა სამინისტროს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადებების გათვალისწინებით.

აფხაზეთის კურორტების კეთილმოწყობის სამუშაოთა განსახორციელებლად სსრ კავშირის სახმომარაგებას დაევალა 1978 წელს დამატებით გამოუყოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ორი ათასი ტონა ბიტუმი, აგრეთვე განიხილოს მანქანების, მექანიზმების, სპეცავტოტრანსპორტის დამატებითი მიწოდების საკითხი. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1979 წლის გეგმის პროექტით უნდა გაითვალისწინოს სამი ათასი ტონა ბიტუმის გამოყოფა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალათ განიხილონ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიგრაფიული ბაზის განმტკიცებისა და ნაბეჭდი პროდუქციის მოცულობის გადიდების საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმშენს წინადადება მიეცათ განიხილონ და გადაწყვიტონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ობიექტების და პროექტების წესისა და ვადების საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უნდა გაშალონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების უზრუნველსაყოფად, დღენიადაგ დაეხმარონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ დადგენილებაში გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კომუნისტები, ყველა მშრომელი ახალ დიდ წარმატებებს მიაღწევენ ეკონომიკის განმტკიცებაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. (საქინფორმი).

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია

სოხუმი, 6 ივნისი. (საქინფორმის კორ.). გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეცხრე სესია. სესია გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ა. ძიძარიამ.

მოხსენება აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ვ. ადლეიბამ.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ი. გ. პაპასკირი, შ. ე. შარტავა, თ. გ. ფიოდოროვა, ი. ა. კესიანი, ზ. ხ. ავიძბა, გ. ნ. ხოლიდი, მ. პ. ახიბა, პ. ხ. ბარციცი, ბ. დ. გულუა, ნ. ა. ხვარწკია, რ. ვ. სიჯინავა.

სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი ასახავს ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ურთიერთობების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების თანამედროვე დონეს, მის ღირსეულ ადგილს საბჭოთა სახელმწიფოში მოძმე რესპუბლიკების თანავარსკვლავედში.

აფხაზეთის ასსრ ძირითადი კანონის პროექტი პრაქტიკულად ხორცს ასხამს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის სრულყოფა, საბჭოთა დემოკრატიის განვითარება.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსამზადებელი მუშაობის ყველა ეტაპზე საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელმძღვანელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე მისი გამოსვლებით, სსრ კავშირის კონსტიტუციით. ყოველმხრივ იყო აგრეთვე გამოყენებული საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის გამოცდილება, რომელსაც მეთაურობდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. გათვალისწინებული იყო საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მომზადების დროს ამ მუშაობის ორგანიზაციის დიდი გამოცდილება.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტის ფართოდ განხილვის დღეებში მრავალეროვანი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა გამოთქვეს ბევრი წინადადება და შესწორება ძირითადი კანონის ცალკეული მუხლების გამო. შრომითი კოლექტივებში, მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის ფართოდ განხილვა მოწმობს საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა, ქალაქებისა და სოფლების ყველა მცხოვრების გაზრდილ პოლიტიკურ შეგნებას, მათ ერთგულებას კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი, დიდი ლენინის იდეებისადმი.

ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი, თქვეს სესიის მონაწილეებმა, სრულად და ღრმად ასახავს უდიდეს წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თავიანთ გამოსვლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საქმიანობა მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). სესიამ ერთხმად მიიღო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ".

აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ძალაში შესვლის წესის შესახებ.

ა. ნ. კოსიგინი კოსტრომაში

კოსტრომა, 6 ივნისი. (საკდეხის სპეც. კორ.). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, სკკპ საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს.

ა. ნ. კოსიგინი იწვია ჯიშთსანაშენე „კარავაევოს".

ვ. ი. ლენინის სახელობის სელის კომბინატში ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მუშებს კომბინატის რეკონსტრუქციის, მოსახლეობისათვის გათვალისწინებული მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოების ზრდის, სელის ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოების საკითხებზე.

ა. ნ. კოსიგინი იყო აგრეთვე კოსტრომის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, გაეცნო 1200 ათასი კილოვატი სიმძლავრის უნიკალური ენერგობლოკის დამონტაჟების პროცესს. ა. ნ. კოსიგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა შემცირდეს ქვეყნის ენერგეტიკული მეურნეობის ახალი სიმძლავრეთა ამოქმედების ვადები.

⊡

დღეს ა. ნ. კოსიგინი ჩავიდა ივანოვოს ოლქში, სადაც იწვია ქალაქ პრივოლჟსკის იაკოვლევსკის სელის კომბინატს.



ხალხთა მეგობრობის მძლეთამძლე ლენინური დროშით

აფხაზეთის მშრომელთა მიტინგი

სოხუმი, 6 ივნისი. (საქინფორმი). აფხაზეთის დედაქალაქის მთავარი მოედანი — ლენინის სახელობის მოედანი სადღესასწაულოდ არის მორთული. კარგ ტრადიციად დამკვიდრდა აქ აღნიშნონ ხოლმე რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. ამ დღესაც აფხაზეთის მშრომელები — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები შეიკრიბნენ საზეიმო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის, „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღებას. ისინი აქ მოვიდნენ, რათა გამოეხატათ თავიანთი სიხარული, მადლობა მოეხსენებინათ მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაზე უდიდესი ყოველდღიური ზრუნვის გამო. ამის ნათელი დადასტურებაა დადგენილება, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

მოედანზე ზაფხულის სიო არხევს ლოზუნგებსა და ტრანსპარანტებს, რომლებზეც აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე წერია ხალხთა მეგობრობის, სსრ კავშირის კონსტიტუციის სადიდებელი სიტყვები. ყველგან მოჩანს მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის, მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

...ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ხ. ე. ხაბეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვ. ფ. ბროვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ამხ. ა. ხ. ხენიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგის მოადგილე ამხ. ვ. ვ. ვასილიევი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, პარტიის, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

მიტინგის გახსნისას საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ თქვა:

— ღირსშესანიშნავია, რომ ისტორიული დოკუმენტი — დადგენილება აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების შესახებ — სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიი-

(დასასრული მე-2 გვ.).

ფოტოზე: სოხუმი, 1978 წლის 6 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გამართული მიტინგი, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებას და აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

ბ. კოხონელიძის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხალხთა მეგობრობის მძლეთამძლე ლენინური დროშით

(დასასრული)

ლეს იმ დღეებში, როცა აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში განიხილავდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც დღეს ერთსულოვნად მიიღო აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ. უსაზღვროა ჩვენი მადლიერება პარტიისა და მთავრობისადმი აფხაზეთის განვითარებაზე ზრუნვისათვის, უსაზღვროა ჩვენი მისწრაფება ახალი შრომითი მიღწევებით ვუპასუხოთ ამ მზრუნველობას. ჩვენი ახალი კონსტიტუცია უკვე მოქმედებს, იგი ახალ წარმატებებს შთააგონებს ყველა პატიოსან მშრომელს.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. შეკრებილნი მას მქუხარი ტაშით ხვდებიან. ამხ. ე. ა. შევარდნაძემ მიულოცა აფხაზეთის მშრომელებს ახალი კონსტიტუციის მიღება და მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლებს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელებს საიუბილეო წელს მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის მიენიჭათ.

შემდეგ ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

დღეს საბჭოთა აფხაზეთში დიდი დღესასწაულია, რომელიც ეძღვნება ღირსშესანიშნავ მოვლენას — დადგენილებას „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თხოვნით მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

ეს დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი კიდევ ერთხელ მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მივულოცო საბჭოთა აფხაზეთის ყველა მშრომელს, ყველა მოქალაქეს ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა და ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასა და მისი განხორციელების ამოცანებზე აქ ვრცლად ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. ვ. ადლეიბამ.

მინდა, შევეხო მხოლოდ დადგენილების რამდენიმე ზოგად ასპექტს.

რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს დოკუმენტი, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს ხალხთა ლენინური მეგობრობის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო მშრომელთა მონოლითური შეკავშირების გაძლიერებას, სოციალისტური დემოკრატიისა და სოციალისტური დისციპლინის შემდგომ განვითარებას.

ეკონომიკური ასპექტით დადგენილება, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს ავტონომიური რესპუბლიკისა და მთელი საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებას, ხელშემწყობ პირობებს უქმნის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, მომსახურების სფეროს გაფართოებას, საკურორტო მეურნეობის გაუმჯობესებას და ა. შ.

სოციალური თვალსაზრისით დადგენილება პირობებს ქმნის აფხაზეთის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის, ადგილობრივი შრომითი რესურსების უფრო სრული დასაქმებისათვის.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ დადგენილების მნიშვნელობა აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში.

სოხუმში გაიხსნება უნივერსიტეტი, მოეწყობა ადგილობრივი ტელეგადაცემები, გაფართოვდება პოლიგრაფიული ბაზა, გაუმჯობესდება ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა, აშენდება ახალი სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებანი და ა. შ.

პარტიის ეს ბრძნული დადგენილება უდავოდ კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე.

ჩვენი დღესასწაული, ძვირფასო ამხანაგებო, იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ ეს-ეს არის მუშაობა დაამთავრა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელმაც ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) მიიღო.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ისტორიაში, არამედ მთელი საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაშიც, რესპუბლიკაში მოსახლე 80-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ცხოვრებაში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიღებას წინ უძღოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის — ჩვენი დროის კომუნისტური მანიფესტის ძალაში შესვლა, რომლის შემუშავებასა და მიღებასაც ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ხალხები სამართლიანად უკავშირებენ თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელს.

როგორც იცით, ამას წინათ მიღებულ იქნა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციები.

დღეს ჩვენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის დაბადებას ვდღესასწაულობთ.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუცია მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეპოქის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაა. იგი ამკვიდრებს ხალხის დიად სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ მონაპოვრებს, ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების გარანტიაა, აცხადებს და უზრუნველყოფს მოქალაქეთა პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა უფლებებსა და მოვალეობებს, ყველა პირობას უქმნის აფხაზი ხალხისა და ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის უმაღლესი მიზანი განვითარებული სოციალიზმის მონაპოვრების დამკვიდრება და კომუნიზმის წარმატებული მშენებლობაა.

ახალი კონსტიტუციების მიღებას წინ უძღოდა საქართველოს კომპარტიის, აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა საბჭოთა საქართველოსათვის სამი ისეთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის განსახორციელებლად, როგორიც არის გადაწყვეტილებანი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილების განხორციელებისათვის საქართველოს კომპარტიის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება იმ დიდი და ტიტანური მუშაობის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეწევა ყველა მოძმე რესპუბლიკის, მათ შორის აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა ერებსა და ეროვნებებზე ლენინური ზრუნვის ახალი გამოვლინებაა.

რით არის გამოწვეული ამ დადგენილების მიღება?

როგორც იცით, აფხაზეთის საქმეები ურიგოდ არ მიდის. ამას მოწმობს აფხაზეთის წვლილის ზრდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის წარმოებაში, მისი სახალხო მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ბევრი მაჩვენებელი საერთო-რესპუბლიკურზე, საერთო-საკავშიროზე მაღალია.

პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ აფხაზეთის მშრომელთა სასახელო საქმეებს.

როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკა დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ნება მიბოძეთ, შევასრულო სასიამოვნო დავალება — გარდამავალი წითელი დროშა გადავცე საბჭოთა აფხაზეთის მშრომელების საუკეთესო წარმომადგენლებს.

ჩვენ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ დადგენილებაში ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დადებით მომენტებთან ერთად მთელი რიგი ნაკლოვანებანიც აღნიშნეს; უწინარეს ყოვლისა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ სრულად არ გამოიყენება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი. ნელი ტემპით ვითარდება მრეწველობის ცალკეული დარგები. საკმაოდ რაციონალურად არ იყენებენ შრომით და სხვა რეზერვებს. აგრეთვე ჩაის, ციტრუსების, ტექნიკური კულტურების, ზეთხილის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების უნიკალურ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს.

სწორედ ამით არის განპირობებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკისთვისაც.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აგრეთვე მიიღეს და ახორციელებენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მისი ცალკეული რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა კომპლექსს.

აფხაზეთისა და მთელი საქართველოს კომუნისტების გადაუდებელი ამოცანაა ისეთნაირად ააგონ მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომ ეფექტიანად განახორციელონ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება.

უნდა შევიმუშაოთ ამ დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსები.

როგორც უკვე ითქვა, დადგენილება სცილდება ეკონომიკისა და კულტურის ფარგლებს. ეს არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც უთუოდ გადამწყვეტ როლს შეასრულებს იმ მხრივ, რომ უმოკლეს ვადებში აღმოვფხვრათ წარსულის ყველა დანაშრევი, შეცდომები და ხარვეზები, აგრეთვე დავძლიოთ ჩვენი საკუთარი ნაკლოვანებანი, ხარვეზები ეკონომიკის, ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ სფეროებში, კადრების პოლიტიკაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

ჩვენი მეგობრობა, აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობა, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები 80-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა მეგობრობა ურღვევი და გრანიტივით მტკიცეა ისევე, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიადი იდეებით შედუღაბებული საბჭოეთის ყველა ხალხის მეგობრობა.

აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობას საუკუნეებში აქვს გადგმული ფესვი.

ჩვენ ერთი ისტორიული ბედი გვქონდა და გვაქვს.

ერთი ცა და ერთი მიწა გვაერთიანებდა. ჩვენ. და ეს სამარადისოა. ჩვენი მეგობრობა ურღვევია!

ჩვენი საერთო წმიდათაწმიდა რევოლუციური ვალია თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი ხალხების მეგობრობასა და ძმობას.

აფსნი „სულის ქვეყანას“ ნიშნავს. მშვენიერი და მდიდარია აფხაზი ხალხის სული. იგი აფხაზეთის პოეტურ ბუნებაზე უფრო მშვენიერია.

ყოველი საბჭოთა ადამიანი აქ ხედავს აფხაზეთის არა მარტო წარმტაც ბუნებას, არამედ მისი ხალხის მშვენიერ სულსაც, რომელიც ასე დიდებულად აისახა მის გმირულ ისტორიაში, მამაცურ შრომაში, ამაღლებულ ზნეობრივ სათუძვლებში, მდიდარ ინტელექტში, საოცარ სულიერ კულტურაში.

დღეს აქ, ამ მოედანზე, შეიკრიბნენ აფხაზეთის სახელოვანი დედაქალაქის — სოხუმის მშრომელები, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები, მშრომელი ხალხის საუკეთესო ნაწილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იცის, თუ რა სიხარულით შეხვდნენ დადგენილებას აფხაზეთის საოლქო კომუნისტური ორგანიზაციის პარტაქტივი, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები.

ამ დღეებში უდიდესი აღმავლობით მოეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ დადგენილების მიღებისადმი მიძღვნილი მშრომელთა კრებები აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში, საქვეყნოდ ცნობილ კურორტ გაგრაში, ინდუსტრიულ ტყვარჩელში, სოხუმის, ოჩამჩირის, გულრიფშის, გალის რაიონებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრების მონაწილეობით.

გუშინწინ შესაძლებლობა მომეცა გუდაუთის რაიონის მშრომელთა წინაშე გამოვსულიყავი. ეს იყო ხალხმრავალი კრება, რომელშიც მშრომელთა ყველა ფენის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და რომელმაც გულთბილ, დაუვიწყარ ვითარებაში ჩაიარა. მშრომელები მხურვალე მადლობას უძღვნიდნენ პარტიას და მთავრობას ავტონომიურ რესპუბლიკაზე ზრუნვისათვის.

ჩვენი დღევანდელი მიტინგი შესანიშნავი დემონსტრაციაა იმისა, თუ რა მონოლითურად არიან შეკავშირებული ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ამ მოედანზე შეიკრიბნენ თვალწარმტაცი აფხაზეთის სახელოვანი დედაქალაქის — სოხუმის, იმ ქალაქის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები, რომელსაც ასეთი სიყვარულით, ასე ტკბილად და ლამაზად უმღეროდნენ და უმღერიან საქართველოს და აფხაზეთის საუკეთესო პოეტები და მწერლები, კომპოზიტორები და მხატვრები.

სოხუმელები ამ მიტინგზე მოვიდნენ არა მარტო პარტიისა და მთავრობის სამადლობელი სიტყვებით, არამედ აგრეთვე სასახელო საქმეების, ქალაქის ცხოვრების ყველა სფეროში მოპოვებული შესანიშნავი მიღწევების პატაკით.

ამ მოედანზე შეიკრიბნენ აფხაზეთის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები: გუდაუთისა და გალის, ოჩამჩირისა და სოხუმის, გულრიფშის რაიონების, ქალაქ გაგრის ზონის მეჩაიეები და მესიმინდეები, მეცხოველეები და მეციტრუსეები, მევენახეები და მეთამბაქოეები, ტყვარჩელელი მეშახტეები, ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

რამდენი შესანიშნავი ადამიანი შეკრებილა მოედანზე — საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირები, ორდენოსნები, რევოლუციური ბრძოლების მონაწილენი, შრომისა და ომის ვეტერანები, სახელოვანი საბჭოთა არმიის წარმომადგენლები, მესაზღვრეები, ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენს ხვალინდელ დღეს, ჩვენს მომავალს განასახიერებენ.

დიდება საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებს!

ჩვენს მიტინგს ამშვენებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის დიდი ლენინის პორტრეტები, ალისფერ დროშებზე წარწერილია საბრძოლო ლოზუნგები და დევიზები — ვ. ი. ლენინის უკვდავი სიტყვები.

ეს-ესაა მიღებული აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ ლენინური იდეების გამარჯვების კიდევ ერთი შესანიშნავი გამოხატულებაა, რომელიც დამაჯერებლად მოწმობს, რომ ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს.

ლენინი ჩვენთან არის იგი ყოველთვის ჩვენ შორის არის! ჩვენ ლენინიზმის ერთგულებით ვიმარჯვებთ!

გაუმარჯოს დიად ლენინურ დროშას! გაუმარჯოს ლენინიზმს!

დღევანდელ მიტინგს ამშვენებს ჩვენი ძვირფასი, დიდად პატივცემული ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის, პარტიისა და მთავრობის სხვა თვალსაჩინო ხელმძღვანელთა პორტრეტები.

ყოველივე ამით მშრომელები გამოხატავენ მადლიერებას, სიყვარულსა და ერთგულებას სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი.

ასეთი სიყვარული ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროსადმი, ასეთი საყოველთაო-სახალხო აღიარება მოწმობს, რომ დიდი ლენინის საქმე საიმედო ხელშია, ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, კომუნიზმისათვის მამაცი მებრძოლთა, ბრძენ მოღვაწეთა ხელშია.

დიდება ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით!

ნიშანდობლივია, რომ ჩვენს მიტინგზე ბევრგან ვხედავთ ლეგენდარული რევოლუციონერების სერგო ორჯონიკიძის, ნესტორ ლაკობას, მიხა ცხაკაიას, ეფრემ ეშბას, ფილიპე მახარაძისა და სხვა ბოლშევიკების — ინტერნაციონალისტების, დიდი ლენინის საქმისათვის ცნობილი მებრძოლების პორტრეტებს.

ეს მოწმობს, რომ ჩვენ ყველანი, ძვირფასო ამხანაგებო, გამსჭვალული ვართ დიდი ოქტომბრის იდეებით, უსაზღვროდ ერთგულნი ვართ საბჭოთა ხალხის დიადი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისა, რომ ჩვენ არსად, არასოდეს არ გადავუხვევთ სოციალიზმის პრინციპებს, რომლებიც ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა სახელოვანმა და დიდმა წინაპრებმა მოიპოვეს რევოლუციის ბარიკადებზე, მხედრული და შრომითი გმირობის გზებზე.

ეს არის ჩვენი კრედო, რომელიც ჩვენს სამოქმედო პროგრამას განსაზღვრავს.

ხალხს უყვარს, ხალხს ახსოვს თავისი სახელოვანი მამულიშვილები, თავისი ხელმძღვანელები, რომლებიც მტკიცედ იდგნენ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე, ისინი, ვინც გრანიტის საძირკველს უყრიდა სოციალისტური ერებისა და ეროვნებების მეგობრობასა და ძმობას, ისინი, ვინც ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას უნერგავდა.

ახლანდელ თაობას შეუძლია იამაყოს ამ ადამიანებით, ისწავლოს მათგან ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის დიად რევოლუციურ, საბრძოლო, შრომით, ინტერნაციონალისტურ და პატრიოტულ ტრადიციებს!

ამხანაგებმა იციან, რომ ამას წინათ აფხაზეთში, საქართველოში ჩამოსული იყო და შესანიშნავი, ღრმაშინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. კაპიტონოვმა.

დღეს ჩვენ შორის არიან, ჩვენს ლხინს იზიარებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ამხანაგი ბროვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ამხანაგი სენიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგის მოადგილე ამხანაგი ვასილიევი, რომლებმაც ძალზე ბევრი რამ გააკეთეს აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოსამზადებლად.

ეს შესანიშნავი და ნიშანდობლივია.

თქვენს ლხინს, ძვირფასო ამხანაგებო, იზიარებენ საბჭოთა საქართველოს, ყველა ავტონომიური სახელმწიფო ერთეულის — აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა მშრომელი, საქართველოს სახელოვანი დედაქალაქის თბილისის მცხოვრებნი. და ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი ერთიანი არიან, რომ საბჭოთა ხალხების მეგობრობა ურღვევია.

პარტია ლენინურად ზრუნავს თავის ყოველ რაზმზე, ნიადაგ განამტკიცებს და აკავშირებს მის რიგებს.

პარტია მონოლითური ერთიანი მექანიზმია და ჩვენ ყოველთვის ერთად ვიბრძვით ხუთწლედების მიჯნების დასაძლევად, ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა ავტონომიური და ადმინისტრაციული ერთეულის შეკავშირება და ერთიანობა ურყევია და ეს ერთიანობაა ჩვენი დიადი კავშირის ღუღაბი.

სსრ კავშირის, საქართველოს სს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ყველა მოძმე რესპუბლიკის ძლიერების მკვიდრი საძირკველია ხალხთა ლენინური მეგობრობა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკა მრავალეროვანი ავტონომიური სახელმწიფო ერთეულია.

აქ ერთიან ძმურ ოჯახად ცხოვრობენ აფხაზები და ქართველები, რუსები და უკრაინელები, სომხები და ესტონელები, ბელორუსები და ბერძნები, ბევრი სხვა ერის, ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.

ყოველ ერსა და ეროვნებას თავისი ისტორიული მისია აქვს ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ჩვენ, ქართველები და აფხაზები, საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ხალხები, გულითადი მადლობის სიტყვებით მივმართავთ დიდ რუს ხალხს, პირველს თანასწორთა შორის.

როგორც საბჭოთა კავშირის ჰიმნშია ნათქვამი, თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.

ეს კავშირი ჩვენი სიამაყისა და ძლიერების წყაროა.

დიდმა რუსმა ხალხმა, დიდი ლენინის პარტიამ სამარადისოდ შეადუღაბეს საბჭოთა ხალხების მეგობრობა.

დიდი ლენინის პარტია მიგვიძღვის კომუნიზმისაკენ.

აფხაზეთის სახალხო პოეტმა დმიტრი გულიამ თქვა:

მიწა უმზეოდ მკვდარია,
თუ მზეა, მუდამ დარია.
პარტიაც მზისა დარია...

ეს მეგობრობა სოციალიზმის ურღვეობისა და კომუნიზმის მომავალი გამარჯვების საწინდარია!

დაე, მრავალჟამიერ ხარობდნენ საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში საბჭოთა საქართველო, საბჭოთა აფხაზეთი!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროსა და მის მეთაურს — ერთგულ ლენინელს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების ურღვევ ლენინურ მეგობრობას!

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **დ. გ. ფილია**, აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ქალთა კომპლექსური მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირი **ნ. ხ. ხასაია**, პოეტები **ა. ნ. ჯონუა** და **შ. ხ. აკობია**, პარტიის ვეტერანი **მ. ი. მურატოვი**, გაზის აპარატის ექსპერიმენტული ქარხნის მუშა **ა. პ. მარქარიანი**, რომლებმაც მადლობა უძღვნეს პარტიას, მთავრობას, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომლებიც ნიადაგ ზრუნავენ საბჭოთა აფხაზეთის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. გამოსულმა ამხანაგებმა ინტერნაციონალური აფხაზეთის მშრომელთა სახელით სამშობლოს, პარტიას აღუთქვეს, რომ მიღებული დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტები და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუცია მათთვის აღმშენებლობითი შრომის პროგრამა იქნება.

მიტინგზე გამოსულმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. ვ. ადლეიბამ** ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მადლობა მოახსენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს თავიანთ შრომის მაღალი შეფასებისათვის — 1977 წელს მიღწეული წარმატებების გამო აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებისათვის. მან განაცხადა, რომ აფხაზეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილების პასუხად მთელ ძალ-ღონესა და ენერგიას მოახმარენ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული განვითარების დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

მიტინგის დასასრულს ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი გადაიქცა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის შესანიშნავ დემონსტრაციად, რომელიც ნათლად გამოხატავდა პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, აფხაზი და ქართველი ხალხების, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, რომლის სულისჩამდგმელიც არის დიდი რუსი ხალხი.

6 ივნისი

„პრავდის“ ფურცლებზე

...**მშრომელები** ჩვეულებრივ თავისი კოლექტივის წარმატებასა თუ წარუმატებლობას უკავშირებენ იმას, თუ რამდენად უნარიანად მოქმედებს პირველადი პარტიული ორგანიზაცია,—ნათქვამია მოწინავეში — „მეწინავეთა მოვალეობა“, მისი მებრძოლურობა კი ბევრად არის დამოკიდებული მდივნად არჩეულ კომუნისტზე. ამხანაგები ამ პოსტს, ჩვეულებრივ, ანდობენ ხოლმე ყველაზე ინიციატივიან, პრინციპულ, შეუპოვარ ადამიანებს. მდივნის როლისა და ავტორიტეტის შემდგომი ამაღლება შესამჩნევად უწყობს ხელს ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე პარტიული გავლენის ზრდას.

ჩვენს პარტიაში ახლა 398 ათასზე მეტი პირველადი და 420 ათასი საამქრო პარტორგანიზაციაა.

დიდია პარტორგანიზაციათა მდივნების როლი ადმინისტრაციისა და აპარატის მუშაობის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის განხორციელებაში, განაგრძობს გაზეთი, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცება, რაზეც დიდი სჯა-ბაასი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე, მოითხოვს გადამწყვეტ ბრძოლას ისეთი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის უწყებრიობა და კუთხურობა, სახალხო დოვლათისადმი უყაირათო დამოკიდებულება და საქმის რეალური მდგომარეობის შელამაზებისადმი მისწრაფება. კომუნისტმა ხელმძღვანელებმა ტონი უნდა მისცენ ამ ბრძოლას, უკომპრომისოდ დაიცვან პარტიული და სახელმწიფო ინტერესები.

როცა თბილისის საფეიქრო ფაბრიკა „ამირანში“ გამოვლინდა წამატებათა შემთხვევები, ამ ბოროტების წინააღმდეგ პირველმა გაილაშქრა პარტბიუროს მდივანმა სოფიკო ცქიმანაურმა. მან პარტიულ კრებაზე, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში დასვა საკითხი. ამის შედეგად სწრაფად დაიხშო ყოველგვარი დარღვევების გზები. აი მეორე ფაქტი. ახლახან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა მკაცრად დასაჯა ყირიმის ოლქის „პერეკოპქიმმშენის“ ტრესტის მმართველი გ. სილენოვი. ცდილობდა რა მიეჩქმალა გეგმების შესრულებასთან დაკავშირებული არასახარბიელო მდგომარეობა. მანაც თვალის ახვევას მიმართა. ტრესტში ნიავდებოდა დეფიციტური საშენი მასალები. ირღვეოდა საშტატო-საფინანსო დისციპლინა. რა პოზიცია დაიკავა პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. მალკოვმა? მან არა თუ სცადა აღეკვეთა დარღვევები, არამედ ხელს უწყობდა იმათდამი ანგარიშის გასწორებასაც, ვინც სიგნალებს იძლეოდა ამის შესახებ. პარტორგანიზაციის მდივანი სამართლიანად დაისაჯა ადმინისტრატორთან ერთად.

ამგვარი ფაქტებიდან სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. პარტიულ მდივანს ამხანაგები უყურებენ როგორც წინამძღოლს, იგი კოლექტივის სინდისად მიაჩნიათ. მაშასადამე, მისდამი მოთხოვნებიც უაღრესად მაღალი უნდა იყოს, ამასთან თითოეული კომიტეტის ვალია უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი პირველადი ორგანიზაციათა ხელმძღვანელების კარგ ინიციატივას, მეტი დახმარება გაუწიონ და [illegible] მათ [illegible] მუშაობისათვის მორალური წახალისების [illegible]. მდივანთა [illegible], როგორც ცნობილია, არ არის „განთავისუფლებული“, ესე იგი მნიშვნელოვან პარტიულ დავალებას ისინი უთავსებენ საწარმოო თუ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას. ეს ადვილი საქმე როდია, და ისინი, ვინც მას მთელ ძალ-ღონეს ახმარს, მადლობას იმსახურებენ.

1973 წელს „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო სტატია სათაურით — „ცხელი მდინარეები“, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „დიდია საქართველოს სიღრმული სითბოს პერსპექტივები. იგი რომ ბუნებისაგან მოვიპოვოთ, სერიოზული მუშაობა დასჭირდებათ რესპუბლიკურ ორგანიზაციებსაც და ბევრი საკავშირო სამინისტროს სპეციალისტებსაც“.

რა გაკეთდა მას მერე განვლილ წლებში, რა ძვრები შეიმჩნევა ამ საქმეში, რა ახალი პერსპექტივები და შესაძლებლობები გაჩნდა? ამ კითხვებს უპასუხებს გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის გ. ლებანიძის წერილი—„საით მიედინებიან ცხელი მდინარეები“. იგი გამოქვეყნებულია რუბრიკით — „ადამიანი და ბუნება“.

აკადემიკოს ტ. ხაჩატუროვის სტატიით — „გამოჩენილი ორგანიზატორი“ გაზეთი აღნიშნავს ვ. ვ. კუიბიშევის დაბადების 90-ე წლისთავს.

ПРАВДА

სამშობლოს ჯილდო-კოსტრომის დროშაზე

კოსტრომა, 5 ივნისი. (საქტაგის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა სკკპ საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ მშრომელთა წარმომადგენლები. კრება მიეძღვნა ქალაქ კოსტრომისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გადაცემას.

მისმა მონაწილეებმა აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში მან კოსტრომელებს მხურვალედ მიულოცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით.

სამშობლოს საპატიო ჯილდო, თქვა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა, მისი მადლობაა კოსტრომელთა — კომუნისტთა და უპარტიოთა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა თავდადებული შრომისათვის. ამ ჯილდოთი პარტია და მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი აღიარებს დიდ წარმატებებს, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა, მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მათ დამსახურებას რევოლუციურ მოძრაობაში.

ომისშემდგომ პერიოდში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვისა და დახმარების მეოხებით კოსტრომა გადაიქცა დიდ თანამედროვე ქალაქად, რომელსაც აქვს მაღალგანვითარებული მრეწველობა, მეცნიერება და კულტურა. სამრეწველო წარმოების მოცულობა ამ პერიოდში გაიზარდა 5,6-ჯერ და ახლა მილიარდ მანეთს აღემატება.

მიღწეული წარმატებანი იმ დიდი ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგია, რომელსაც ახორციელებენ საოლქო და საქალაქო პარტიული ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

კვლავაც უნდა განვუვითაროთ ადამიანებს შეუპოვრობა, დამოუკიდებელი აზროვნება, კომპეტენტურობა, ახლის მახვილი გრძნობა, იმის უნარი, რომ დროულად შენიშნონ და მხარი დაუჭირონ ინიციატივას. ეს თვისებები, როგორც ნათქვამია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნში „აღორძინებაში“, ჩვენთვის დღეს ყველაზე მეტად არის საჭირო.

მთელი საბჭოთა ხალხი, თქვა შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა, დიდი აღმავლობის ვითარებაში შრომობს პარტიის XXV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, კომკავშირის XVIII ყრილობაზე და ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის დროს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლებში დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის მთავარია კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის საქმიანობაში. 1936 წელთან შედარებით, როცა წინა კონსტიტუცია იყო მიღებული, რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1977 წელს გაიზარდა 5,7-ჯერ. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებული დახმარება და შეღავათი 3,3 მილიარდი მანეთიდან 99,5 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. ახლა ქვეყანაში შენდება თითქმის 7,5-ჯერ მეტი საცხოვრებელი სახლები, ვიდრე 1936 წელს.

გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი გახდა ადამიანთა სულიერი ცხოვრება.

კოლექტივიზმის ღრმა გრძნობა, უნდა ითქვას, ახალი საზოგადოების ადამიანის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს კლასობრივ, იდეურ მოწინააღმდეგეებს ყველაზე მეტად აშინებდათ საბჭოთა ადამიანის სულიერი განთავისუფლება კაპიტალიზმის გადმონაშთებისა და ძალებისაგან.

სოციალისტურმა საზოგადოებრივმა წყობილებამ, საბჭოთა ხელისუფლებამ არამარტო ძირფესვიანად შეცვალეს ხალხის ცხოვრება და გაამდიდრეს მისი სულიერი სამყარო, არამედ მან ყოველი კაპიტალისტური წყობილების დროს კიდევ უფრო დიდი და მიუწვდომელი სიკეთე — ხვალინდელი დღის, თავისი მომავლის, თავისი შვილების მომავლის რწმენა მიანიჭა. ჩვენმა ხალხმა არ იცის, თუ რა არის უპერსპექტივობის დამთრგუნველი გრძნობა, არა აქვს ზედმეტ ადამიანად დარჩენის შიში, რომელიც კაპიტალიზმის სამყაროში ადამიანებს თან სდევს სკოლის მერხიდანვე. ჩვენმა ხალხმა არ იცის, თუ რა არის უმუშევრობა, რას ნიშნავს ცხოვრება და შრომა ისე, თუ არა აქვს დიადი მიზანი, რომელიც ადამიანებს აერთიანებს და მათ შრომასა და ცხოვრებას ღრმაშინაარსიანს ხდის.

ყოველივე ეს ღვთის ნაბოძები კი არ არის, არამედ მოპოვებულია შეუპოვარი შრომით, სოციალიზმის მტრებთან მძიმე ბრძოლით. ყოველივე ეს მტკიცედ დამკვიდრდა მასების შეგნებაში, ჩვევაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, დამკვიდრდა მტკიცედ და სამუდამოდ. რა თქმა უნდა, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ისე როდია მოწყობილი, როგორც ჩვენ გვინდა. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციაშიც, ვაჭრობაშიც, ჯერ კიდევ არ გვყოფნის ბინები, თუმცა ვაშენებთ და ვაწარმოებთ წლითიწლობით სულ უფრო მეტსა და გაცილებით უკეთესს, ვიდრე წინათ.

ჩვენ ვიცით ჩვენი ნაკლოვანებები, ვცდილობთ ისინი დავძლიოთ და დავძლევთ კიდეც. პარტია კვლავაც უზრუნველყოფს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას. პარტიას აქვს ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის ნათელი პერსპექტივა.

უკანასკნელ წლებში პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღმავლობას, პირობების შექმნას ამ დარგის მტკიცე განვითარებისათვის და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. მარტო უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე, 1971-დან 1977 წლამდე სოფლის მეურნეობის განვითარებას (სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით) მოხმარდა ორას მილიარდ მანეთამდე კაპიტალური დაბანდება — მეტი ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების მანძილზე.

გაკეთდა ბევრი რამ, მაგრამ ქვეყნის მზარდი მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქციაზე, ჯერ კიდევ მთლიანად არ კმაყოფილდება, ამიტომ პარტია კვლავაც მტკიცედ და მიზანსწრაფულად განახორციელებს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის, სოფლად ღრმა ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების კურსს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოფლის მეურნეობის განვითარებას რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიან ზონაში, რომლის ტერიტორიაზეა თქვენი ოლქი.

როგორც ვიცით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების და საკვების დამზადებისა და პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ. ამოცანა ის არის, რომ ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, ყველა ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო ორგანომ ორგანიზებულად მოაწყოს მოსავლის აღების სამზადისი და აიღოს იგი დროულად, უდანაკარგოდ, რათა მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენონ ის უდიდესი მატერიალური რესურსები, რომლებსაც სახელმწიფო დამატებით გამოყოფს ამ მიზნით.

უპირველესი მნიშვნელობის საქმეა კაპიტალური მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესება. სამრეწველო საწარმოებისა და საწარმოო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტების დროული ამოქმედების უზრუნველყოფა. ეს საკითხები ახალი არ არის, ისინი აღძრული იყო სკკპ XXV ყრილობაზეც და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზეც. მაგრამ ამ საკითხებზე ლაპარაკი კვლავ იმიტომ გვიხდება, რომ ისინი ჯერ-ჯერობით ნელა წყდება.

პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი წარმოების ყოველ უბანზე დისციპლინის დაცვისადმი, მტკიცედ მიაღწიონ მაღალ ორგანიზებულობას გეგმების შესრულებისათვის მუშაობაში. ჩვენს ქვეყანას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყვიტოს სულ უფრო პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც გვხვდება ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზაზე, რომელსაც საბჭოთა ხალხი ადგას. ჩვენ გვაქვს მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, შექმნილია დიდად განვითარებული ეკონომიკური პოტენციალი, აღიზარდნენ შესანიშნავი კადრები, ჩვენ გვაქვს მოწინავე საზოგადოებრივი წყობილება, არის ხალხისა და ლენინური პარტიის ურღვევი ერთიანობა.

შემდეგ ამხ. ა. ნ. კოსიგინი მოკლედ შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას.

დასასრულ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით კოსტრომის დაჯილდოების შესახებ და — სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში სამშობლოს საპატიო ჯილდო ქალაქის დროშას მიამაგრა.

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის სიტყვას დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. (საქტაგი).

მოსკოვი აღნიშნავს

□ 8 ივნისს — ილია ჭავჭავაძის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

□ 9 ივნისს — ქართული პოეზიის საღამო

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა რუსულ კულტურას, მწერლობას, თარგმნიდა და მშობელ ხალხს აცნობდა რუსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. რუსულმა კულტურამ უდიდესი ხელმძღვანელობა გაგვიწია ცხოვრების გზაზედო, აღნიშნავდა მწერალი.

რუსი ხალხი და მთელი საბჭოთა ქვეყნის ხალხები ამ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის სანაცვლოდ ორმაგი გულითადობით მიაგებენ დიდ მწერალს. ამ დღეებში მოსკოვში იმართება ილია ჭავჭავაძის 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელშიც თავიანთ რუს კოლეგებთან ერთად მონაწილეობენ ქართველი მწერლები საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის გ. აბაშიძის ხელმძღვანელობით. ილიას საიუბილეო დღეებს საუკეთესო ელფერს აძლევს მოსკოვში მარჯანიშვილელთა საგასტროლო სპექტაკლები.

ხვალ, 8 ივნისს ილიას საიუბილეო ზეიმის მონაწილენი გვირგვინებს მიიტანენ ალექსანდრე პუშკინისა და შოთა რუსთაველის ძეგლებთან და პატივს სცემენ დიდ წინაპართა სახელებს. დღის მეორე ნახევარში კი ლენინის ორდენოსან და შრომის წითელი დროშის ორდენოსან „მოსსოვეტის" სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება ილია ჭავჭავაძის 140-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამოს გახსნის სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. მარკოვი.

მოხსენებით „სიტყვა ილია ჭავჭავაძეზე" გამოვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

სიტყვებს წარმოსთქვამენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ო. შესტინსკი, უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ა. ლევადა, აზერბაიჯანელი მწერალი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჰუსეინ ჰუსეინზადე (არიფი), სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ვ. პეტროსიანი და სხვ.

შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი, რომელშიც საქართველოს ხელოვნების ცნობილ ოსტატებთან ერთად გამოვლენ მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა.

9 ივნისს ა. ფადეევის სახელობის ლიტერატურის ცენტრალურ სახლში ქართული პოეზიის საღამოა, რომელსაც უძღვება სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალ. რეკემჩუკი. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და რუსი პოეტები, ხოლო საკონცერტო განყოფილებაში საქართველოს ხელოვნების ოსტატები.

მოსკოვში ილიას საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტისათვის" ინტერვიუ ვთხოვეთ გრიგოლ აბაშიძეს, რომელმაც გვითხრა:

— მოსკოვი, საბჭოთის დედაქალაქი, ყოველთვის გამორჩეული პატივისცემით ეკიდება ეროვნულ კულტურებს. ცხადია, მათ შორის, მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას. ჩვენ ყველას გვახსოვს საიუბილეო დღეები და ლიტერატურული საღამოები, რომლებიც მიეძღვნა შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ზაქარია ფალიაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, კოტე მარჯანიშვილს და სხვებს. ეს საღამოები რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მატიანეს ღრმაშინაარსიან ფურცლებად იქცნენ. ამჯერად მოსკოვის საზოგადოებრიობა პატივისცემისა და სიყვარულის ხელთუქმნელ ძეგლს უგებს ილია ჭავჭავაძეს და ამით საფუძველს უმაგრებს ჩვენი ქვეყნის ხალხების, ჩვენი კულტურების ძირძველ მეგობრობას.

ლ. კიკნაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი. (ტელეფონით)

ციმბირისა და უკიდურესი ჩრდილოეთის შეკვეთები — ვადამდე

ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე გაუგზავნა პროდუქციის დიდი პარტია ნორილსკის სამთო-მეტალურგიულ კომბინატს ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის" კოლექტივმა. ამით მანქანათმშენებლებმა შეასრულეს წლის დამდეგიდან ნორილსკელთა მეორე დიდი შეკვეთა. პირველიც ასევე ვადამდე გაანაღდეს ჯერ კიდევ მაისის დამდეგს.

— წელს ქარხნის კოლექტივი მუშაობს ციმბირისა და უკიდურესი ჩრდილოეთის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების შეკვეთების შესასრულებლად, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საწარმოს მთავარმა ინჟინერმა ნ. ტერ-სტეფანოვმა. — წარმოების მუშაკებს შეგნებული აქვთ დიდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის და უმაგალითო აღმავლობით შრომობენ. მაგალითად, კრასნოიარსკის მხარის აბაკანის ვაგონშემკეთებელი ქარხნისათვის, რომელიც სწრაფი ტემპით შენდება, მოწყობილობის მიწოდების დავალება ივლისის დამდეგს უნდა შეგვესრულებინა, ჩვენ კი იგი აპრილში შევასრულეთ. გრაფიკის ერთი თვის გასწრებით არის რეალიზებული აგრეთვე დამკვეთლური ასამუშავებელი მშენებლობის — ირკუტსკის ალუმინის ქარხნის მაგადანის „დუკატის" შახტის, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის შეკვეთები.

ელექტრიკოსებს წარმატების მოპოვებაში ხელს უწყობს ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, მისი საჯაროობა. ყველა დიდი შეკვეთის შესრულების ინიციატივა გამოიჩინა მექანიკური უბნის ამწყობთა მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც ხ. ჯიოევი ხელმძღვანელობს. დეტალების თერმული დამუშავების ბრიგადამ, რომელსაც ა. გატიკოევი მეთაურობს, ყველა ქვეგანაყოფის კოლექტივებს მოუწოდა მაქსიმალურად გამოიყენონ მოწყობილობის შესაძლებლობანი, ამასთან აუცილებლად დაიცვან მისი ექსპლოატაციის წესები. ბრიგადის თითოეული წევრის შრომის შეფასების დროს ითვალისწინებენ როგორც რიცხობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ისე სამუშაო ადგილის მდგომარეობას, ტექნიკის გამართულობას.

ჩვენს მიერ გამოშვებულ ვიბრაციულ მანქანებს იყენებენ ნატეხი, მარცვლოვანი და ფხვიერი მასალების დოზირებული მიწოდებისა და ტრანსპორტირებისათვის. ამ მანქანების ღირსება ის არის, რომ მათში არ არის მბრუნავი ნაწილები და ხახუნის სიბრტყეები. ამიტომ ისინი არ საჭიროებენ განსაკუთრებულ მოვლას და ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუფერხებლად მუშაობენ.

კ. გაბარაევი,
გ. ამაშუკელი,
(საქინფორმის კორ.).

„პარტიული სიტყვა" № 11

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მორიგი, მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალი იხსნება რუბრიკით „წიგნები რომლებიც გვასწავლიან ცხოვრებას, მუშაობას, გამარჯვებას". ამაში გამოქვეყნებულია საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივნის ა. აზიროვის სტატია „პარტიული სიტყვის შთამაგონებელი და უძლეველი ძალა". იგი ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებს „მცირე მიწა" და „აღორძინებას", რომლებიც დიდი სიმართლით მოგვითხრობენ დიდ სამამულო ომზე და ომისშემდგომ დანგრეულის აღსადგენად გაწეულ მუშაობაზე.

აქვე მიცემულია მოწინავე სტატია „ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა — პირველხარისხოვანი ამოცანა".

საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული რუბრიკით „ავამაღლოთ პოლიტიკური აგიტაციის როლი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებაში".

სტატია „პარტიის ერთგული შვილი" მიძღვნილია ვ. ვ. კუიბიშევის დაბადების 90-ე წლისთავისადმი.

ჟურნალს აქვს განყოფილებები „საერთაშორისო თემაზე", „ლიტერატურა და ხელოვნება ხუთწლედის მხარდამხარ", გამოცდილება: შეისწავლეთ დანერგეთ, „ვის რა აინტერესებს" და სხვ.

გამოქვეყნებულია აგრეთვე მეთოდიკური რჩევა-დარიგებანი და სხვა საინტერესო მასალები საგიტაციო-პროპაგანდისტული საუბრებისათვის.

საერთაშორისო ცხოვრება

პლანეტა დღეს · პლანეტა დღეს · პლანეტა დღეს

● საქდესის იტყობინება

შეხვედრა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 5 ივნისი (საქდესი). აქ გაიმართა პარლამენტართა, სხვა არჩევითი ოფიციალურ პირთა და პროფკავშირულ მოღვაწეთა საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა განიარაღებისა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღმოფხვრის პრობლემებს, მშვიდობის ბედისათვის სახელმწიფო, პროფკავშირული და საზოგადო მოღვაწეების პასუხისმგებლობას თავიანთა ხალხების წინაშე. შეხვედრაში, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოაწყო, მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, კანადის, კვიპროსის, კოსტა-რიკის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები.

გამალებული შეიარაღების, მეტადრე ბირთვული შეიარაღების ალაგმვას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მთელი მსოფლიო ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნა, განაცხადა შეხვედრის გახსნისას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა რ. ჩანდრამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურ სესიას, რომელიც, როგორც რ. ჩანდრამ თქვა, მოწოდებულია, „კარი გაუღოს შემდგომ ღონისძიებებს დაძაბულობის შენელების გზაზე".

პირს კრავენ ნატოსთან

პარიზი, 5 ივნისი (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კინშასელი კორესპონდენტი იუწყება, ზაირში მყოფი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ხუა გუშინ მობუტუს თანხლებით ეწვია კოლვეზის სამთამადნო ცენტრს, სადაც ფრანგი ლეგიონერებისა და ბელგიელი ჯარისკაცების დახმარებით ჩაახშეს ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება. ზაირის აზაპის სააგენტო აღნიშნავს, რომ ხუან ხუამ კმაყოფილება გამოთქვა აჯანყებულებზე მოპოვებული „გამარჯვების" გამო.

როგორც ფრანს პრესი აღნიშნავს, ზაირში ჩასვლისას ხუან ხუამ ხელისუფალთ აგრძნობინა, რომ ჩინეთი ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოს წევრ სხვა ქვეყნებთან ერთად სამხედრო დახმარებას გაუწევს ახლანდელ რეჟიმს, კერძოდ, გაუგზავნის იარაღს. ეს საკითხი, აღნიშნავს სააგენტო, ძირითადი იქნება ხუან ხუასა და პრეზიდენტ მობუტუს მოლაპარაკებაში, რომელსაც ჩინეთმა თავისი „ჭეშმარიტი მეგობარი" უწოდა.

გადაჭრით გმობენ

ტრიპოლი, 6 ივნისი. (საქდესი). არაბული ქვეყნების საზოგადოებრიობა გადაჭრით გმობს ეგვიპტის ახლანდელი ხელმძღვანელობის კაპიტულანტურ კურსს. აქ გამოქვეყნდა სრულიად არაბეთის სახალხო კონგრესის მუდმივი სამდივნოს განცხადება იმ რეპრესიების გამო, რომლებსაც ეგვიპტეში მიმართავენ პროგრესული ძალების წინააღმდეგ.

ზაირი — აძლიერებენ ჩარევას

პარიზი, 5 ივნისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატები ნატოელ მოკავშირეებთან ერთად აფართოებს ზაირის შინაურ საქმეებში ჩარევას. კვლავ მოქმედებს საჰაერო ხიდი, რომლითაც შაბაში ნატოს ქვეყნებიდან იგზავნება სამხედრო მასალების ნაკადი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების გიგანტური სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით „ს-141" დაიწყო 1500 მაროკოელი ჯარისკაცის გადაყვანა, რომლებიც შეუერთდებიან ფრანგ და ბელგიელ პარაშუტისტებს, მაროკოს ჯარების სათავეში დგას ლუბარისი, რომელიც მაროკოს საექსპედიციო კორპუსს სარდლობდა შაბაში 1977 წლის გაზაფხულზე ზაირში მომხდარი პირველი აჯანყების დროს.

ზაირის პრეზიდენტმა მობუტუმ საფრანგეთსა და მაროკოში ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ განაცხადა, რომ საფრანგეთის უცხოეთის ლეგიონი, რომელიც ძირითადად გერმანული ეროვნების პირთაგან შედგება, კვლავ ზაირში რჩება. იქ არის აგრეთვე ბელგიის არმიის გაძლიერებული ბატალიონი, რომელშიც 600 კაცი შედის. ყველა ისინი გაურკვეველი ვადით „რჩებიან", შაბაში მცხოვრები ევროპელი მოსახლეობის „დამშვიდების" სახაცილო საბაბით, თუმცა, იმავე მობუტუს სიტყვით, მდგომარეობა შაბის პროვინციაში სავსებით ნორმალურია. ბელგიის ხელისუფლებამ თავიანთ ჯარებს უბრძანეს დაიკაონ ამ პროვინციის ყველა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი.

მობუტუ ცდილობდა მიეღო ჯარების დამატებითი კონტინგენტები სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც, როგორც მან პროვოკაციულად განაცხადა, ემუქრებათ საფრთხე „რუსთა და კუბელთა კოალიციის" მხრივ.

საფრანგეთში მისი მოლაპარაკების დროს მიაღწიეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ კოლვეზში ფრანგი პარაშუტისტები შეცვალონ დაქირავებულებით, რომლებიც უნდა შეაგროვონ საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ინგლისში. ამ დაქირავებულებმა, 800-მდე კაცმა, უნდა „უზრუნველყონ სამთამადნო კომპანია „ჟეკამინის" საქმიანობის უშიშროება". დაქირავებულთა შეგროვება მიმდინარეობს ზაირის პარიზის საელჩოს მეშვეობით. საფრანგეთი დათანხმდა გაგზავნოს თავისი ინსტრუქტორები დაქირავებულთა მოსამზადებლად.

აქაურ წრეებში ამ ფაქტებს უკავშირებენ იმას, რომ მობუტუს არა აქვს თავისი რეჟიმის სიმტკიცის იმედი და სურს შინაური ხასიათის ამბები საერთაშორისო ასპარეზზე გადაიტანოს. თუმცა თავისი მტკიცების არავითარი დადასტურება არ მოეპოვება, მან მიმართა გაცვეთილ მონაჭორებს „საბჭოთა მუქარის" შესახებ, მშვენივრად იცის რა, რომ არც ერთი საბჭოთა ჯარისკაცი არ არის და არც ყოფილა ზაირის ტერიტორიაზე.

თვით ზაირში ძლიერდება აღშფოთება უცხოელი ინტერვენტებისა და მთავრობის ჯარების მოქმედებების გამო. ზაირის ჯარისკაცებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის შეტაკებები მოხდა კინშასის აფრიკელთა ერთ-ერთ უბანში. ზაირის საშინაო საქმეებში დასავლეთის სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავისი პოსტი დატოვა ზაირის ელჩმა ირანში მბეკა მაკოსომ. შაბის პრობლემა, ხაზი გაუსვა მან, შინაური პოლიტიკური პრობლემაა და იგი უნდა გადაიჭრას პოლიტიკური გზით. რაც შეეხება უცხო სახელმწიფოთა უშუალო სამხედრო ჩარევას, იგი მხოლოდ ამწვავებს ამ პრობლემას.

გზა გავუხსნათ ვაჭრობას

ვაშინგტონი, 5 ივნისი. (საქდესი). ამერიკის საქმიანი წრეები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ნორმალიზაციასა და გაფართოებას. მათ მიაჩნიათ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის განვითარება შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, ხელს უწყობს ორმხრივ ურთიერთობაში პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას, აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

— ჩვენ დიდი ინტერესით ვეკიდებით საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების მოგვარებას, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი კვების კორპორაციის „რალსტონ პურინის" კომერციულმა დირექტორმა პ. სანდერსონმა. — ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მთელ რიგ პროექტებზე, კერძოდ, საბჭოთა კავშირში საკვები ცილების ქარხნის მშენებლობის შესახებ. მიმდინარე წლის იანვარში შევედით ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკურ საბჭოში, რომლის წევრიც, როგორც ცნობილია, არის ამერიკის 260-ზე მეტი კომპანია. საერთოდ ჩვენ კმაყოფილი ვართ საქმიანი ურთიერთობის მდგომარეობით, თუმცა მიგვაჩნია, რომ იგი შეიძლება გაცილებით უფრო ფართო ყოფილიყო.

ამასთან დაკავშირებით პ. სანდერსონმა აღნიშნა, რომ ორმხრივი ვაჭრობის გაფართოების გზაზე ძირითად ბარიერად რჩება ვაჭრობის შესახებ 1974 წლის კანონის ჯექსონ-ვენიკის შესწორება, რომელიც ორმხრივი ვაჭრობის გადიდებას უკავშირებს საკითხებს, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მასთან. „რალსტონ პურინის" წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ ეს ბარიერი დაძლეული იქნება.

თანამშრომლობის სულისკვეთებით

ბეირუთი, 5 ივნისი (საქდესი). ახლა ლიბანის მთავრობის წინაშე დგას ორი ძირითადი პრობლემა: ისრაელის მხედრიონის მიერ სამხრეთ ლიბანის ოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხები და ეროვნული ლიბანის არმიის შექმნა, განაცხადა ბეირუთის გაზეთ „ან-ნაჰარისადმი" ინტერვიუში ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ს. ხოსმა.

ჩვენი პოზიცია, განაგრძო მან, ყოველთვის ის იყო, რომ პირველ ადგილზე დაგვეყენებინა ლიბანის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივი და უსიტყვო გაყვანის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვისწრაფვით დავძლიოთ დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალებს თავიანთი ამოცანების შესრულებაში, რადგან ისრაელმა შეიძლება ეს დაბრკოლებები ოკუპაციის განგრძობის საბაბად გამოიყენოს. ეს საკითხები, აღნიშნა მან, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან ამასწინანდელი მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იყო.

ლიბანის მთავრობის მეთაურმა აღნიშნა სირიის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელმაც ვალდებულება იკისრა გაუწიოს ლიბანს მთელი საჭირო დახმარება.

თავის მხრივ, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სამხედრო განყოფილების გამგემ ზ. მოხსენმა თქვა, რომ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა მზად არის ხელი შეუწყოს ლიბანს მისი უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფის საქმეში. ყოველკვირეულ „მეგეზინისადმი" ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა ისწრაფვის გამონახოს ყველა იმ პრობლემის გადაჭრის გზა, რომლებიც ამ მოძრაობასა და ლიბანის მთავრობას შორის არსებობს, რათა არ გააჭიანურებინონ ისრაელს ჯარების გაყვანა.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

პირველად ანგოლის ისტორიაში

● ლუანდა. ანგოლის ისტორიაში პირველად გამოიცა აქ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". იგი დასაბეჭდად მოამზადა ანგოლის წიგნის ინსტიტუტმა და უკვე გამოტანილია გასაყიდად ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის წიგნის მაღაზიებში.

სულ რამდენიმე წლის წინათ პორტუგალიის კოლონიური ბატონობის წლებში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ამ ნაწარმოების სახელწოდების მარტო ხსენება წამებასა და მრავალი წლის პატიმრობას უქადდა ანგოლელებს.

გაიხსნა მინისტრთა თათბირი

● ჯაკარტა. აქ გაიხსნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ასეანი) ეკონომიკის მინისტრთა თათბირი. ამ ასოციაციაში შედიან ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი და ფილიპინები. თათბირის მონაწილენი განიხილავენ ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების გზებს.

ბრძოლა უწიგნურობის წინააღმდეგ

● ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ბრძოლა უწიგნურობის წინააღმდეგ, განაცხადა რესპუბლიკის განათლების მინისტრმა დ. პანჯშირიმ. ახალგაზრდა მასწავლებლებისადმი მოწოდებას, წავიდნენ სამუშაოდ სოფლად, გამოეხმაურა ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებიც უკვე გაემგზავრნენ ქვეყნის შორეულ რაიონებში.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ღონისძიებები, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს, ავღანეთის მთელი მოსახლეობის სრული მხარდაჭერით სარგებლობს.

ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

ჰანოი, 5 ივნისი (საქდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, დღეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხოანგ ბიკ შონმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში და გადასცა მას საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა. ამ ნოტაში უარყოფილია ჩინეთის მხარის ცილისმწამებლური მტკიცება, თითქოს ვიეტნამი დევნის და ქვეყნიდან აძევებს ვიეტნამში მცხოვრებ ჩინური ეროვნების პირებს.

ეხება რა ჩინეთის მთავრობის წინადადებას გაგზავნოს ვიეტნამის ნავსადგურებში თავისი გემები, რათა ვიეტნამში მცხოვრები ჩინური ეროვნების პირები წაიყვანოს ჩინეთში, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ნოტაში ჩინეთს აცნობებს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას ნება დართოს ჩინეთის გემებს მას შემდეგ, რაც ისინი შეასრულებენ პროცედურებს ვიეტნამის ახლანდელი კანონებისა და წესების შესაბამისად შევიდნენ ვიეტნამის მიერ აღნიშნულ ნავსადგურებში და წაიყვანონ ვიეტნამში მცხოვრები ჩინელები, რომლებსაც სურთ დატოვონ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა და ჩინეთში წავიდნენ.

ჩინეთის პირველი გემები ვიეტნამის ნავსადგურებში შესვლის ნებართვას მიიღებენ 20 ივნისს, აღნიშნულია ნოტაში.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ალდო მოროს გამტაცებელთა და მკვლელთა ძებნისას იტალიის პოლიციამ რომის მახლობლად აღმოაჩინა იტალიაში მოთარეშე ძირგამომთხრელი ორგანიზაციის კიდევ ერთი საიდუმლო ბაზა. ძველი სახლის სარდაფში იპოვნეს დიდი რაოდენობით იარაღი, მათ შორის ავტომატები, ტყვიამფრქვევი და 30 კილოგრამამდე ფეთქებადი ნივთიერება.

იუპი-საქდესის ფოტო.

საერთაშორისო შენიშვნები

ავბედითი გეგმები

დასავლეთის რეაქციული წრეები ცდილობენ „ცივი ომის" დროის აღორძინებას

ნატოს საბჭოს უმაღლესი დონის სესია, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა ვაშინგტონში, აგრესიული ჩრდილოატლანტიკური ბლოკის საქმიანობის ახალ ეტაპს მოასწავებს. მისი მიზანი იყო გამალებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის შეფერხება, ხალხთა თავისუფლების ჩახშობა.

ნატოს ქვეყნების ლიდერები დემონსტრაციულად შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში სწორედ იმ დროს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესია მიმდინარეობდა. ზოგიერთი მათგანი იქ ჩავიდა პირდაპირ ნიუ-იორკიდან, სადაც პირფერულად ლაპარაკობდა განიარაღების აუცილებლობაზე, ვაშინგტონში კი სულმოუთქმელად შეუდგა გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო ბიუჯეტების ზრდის საკითხთა განხილვას.

ნატოს ფორუმის წინ შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გაჩაღდა გააფთრებული ანტისაბჭოთა კამპანია, რომელსაც მისი ინიციატორების ჩანაფიქრით, უნდა შეექმნა შესაბამისი ფონი, რათა ამერიკის ადმინისტრაციას დახმარებოდა ნატოს საბჭოს სესიაზე ვაშინგტონისათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებაში.

სესიას ტონი მისცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა, რომელმაც მოუწოდა ბლოკის შეიარაღებული ძალების სამხედრო პოტენციალის კიდევ უფრო მეტი ზრდა და მოდერნიზაცია. იგი ამტკიცებდა, „საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნები ნატოს ომის საფრთხეს უქმნიანო". ძველი ხრიკია. პროვოკაციულ მონაჩმახს „საბჭოთა მუქარის" შესახებ ამერიკის სახელმწიფო მოღვაწენი და პროპაგანდა სწორედ მაშინ მიმართავენ ხოლმე, როცა თავიანთ ქვეყანაში გამალებული შეიარაღების დაჩქარებას დააპირებენ და სურთ იგი თავიანთ სამხედრობლოკელ პარტნიორებს მოახვიონ თავს.

ამოცანას, რომელსაც პრეზიდენტი ისახავდა, სულ ცოტა ორი გარემოება ართულებდა. ჯერ ერთი, არც ისე ადვილი იყო საზოგადოებრიობისათვის ანტისაბჭოური არაკების დაჯერება. მით უმეტეს, რომ იმ დროს, როცა ამერიკის ადმინისტრაციის მეთაური დიდის ამბით ლაპარაკობდა „საბჭოთა მუქარაზე" და თავისი პარტნიორებისაგან სამხედრო დარგში ახალ-ახალ ღონისძიებებს მოითხოვდა, საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შეიტანა გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრაქტიკულ ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა. ახალ საბჭოთა ინიციატივებს უდიდესი ინტერესით შეხვდნენ მთელ მსოფლიოში, კერძოდ, იმ ქვეყნებშიც, რომელთა ხელმძღვანელებიც ვაშინგტონში იყვნენ შეკრებილნი. მეორეც ის, რომ ძნელი იყო სამხედრო ხარჯების ახალი ტვირთის აკიდება მოკავშირეებისათვის, რომელთა ეკონომიკამ დღემდე ვერ დააღწია თავი კრიზისული მდგომარეობისათვის. არადა, მარტო შარშან ნატოს უშუალო სამხედრო ხარჯებმა 165 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სულ კი უკანასკნელ ათწლეულში ბლოკის მონაწილეებმა სამხედრო მიზნებს მოახმარეს ასტრონომიული თანხა — 1,3 ტრილიონი დოლარი!

მაგრამ სესიამ ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ამჯერადაც მიიღო ნატოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა და მოდერნიზაციის გრძელვადიანი სამხედრო პროგრამა, რომელიც 1995 წლამდე პერიოდისათვის არის გათვალისწინებული. იგი გადასახადის გადამხდელთ 80 მილიარდი დოლარი დაუჯდებათ. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ-ტაიმსი" წერს, ეს არის „ყველაზე დიდი სამხედრო პროგრამა მას შემდეგ, რაც 1949 წელს ნატო შეიქმნა". საქმე ეხება ღონისძიებათა ფართო კომპლექსს, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის საიერიშო ძლიერების გადიდებას. ამ ღონისძიებებს განეკუთვნება ტაქტიკური ბირთვული ძალების მოდერნიზაცია, სამხედრო-საჰაერო ძალების გაძლიერება, ახალ სახეობათა რაკეტების ერთობლივი გამოშვება, ელექტრონული ომის წარმოების საშუალებათა შემუშავება, სარეზერვო შენაერთების რიცხვის ზრდა, სამხედრო ბაზების ქსელის გაფართოება და ა. შ.

ბლოკის ისტორიაში გამალებული შეიარაღების უპრეცედენტო გეგმას სესიის დოკუმენტებში ნიღბავენ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით „დაძაბულობის შენელების სარგებლობის" შესახებ, რათაც ერთგვარ რევერანსს უკეთებენ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს.

ვაშინგტონის კურსმა, რომელიც აძლიერებს საომარ სამზადისს, ამწვავებს დაძაბულობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში, სესიის მონაწილეთა სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია. ჯერ კიდევ სესიის გახსნის წინ კანადის პრემიერ-მინისტრმა პ. ტრიუდომ გაილაშქრა საერთაშორისო ვითარების გამწვავების ცდების წინააღმდეგ. დაძაბულობის შენელების პროცესს სესიაზე მხარი დაუჭირა თურქეთის მთავრობის მეთაურმა ბ. ეჯევითმა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ხაზგასმით აღნიშნა: „მე ვერ ვხედავ, რომ ჩემს ქვეყანას საბჭოთა კავშირი რაიმე საფრთხეს უქადდესო".

თანაბლოკელმა პარტნიორებმა ვერ მიაღწიეს თანხმობას ზოგიერთ სამხედრო საკითხშიც. „ამერიკის შეერთებული შტატების რეკომენდაციებს ამ მხრივ, — წერს „ვაშინგტონ პოსტი", დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია, მაგალითად, საკითხმა იარაღის ერთობლივი წარმოების შესახებ „დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებს, — განმარტავს გაზეთი „ნიუ იორკ-ტაიმსი", — მიაჩნიათ, რომ ორმხრივმოძრაობიანი ქუჩა, როგორიც უნდა იყოს დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების მიერ იარაღის ერთობლივი წარმოება, არსებითად, ამერიკული ბულვარია. დასავლეთ ევროპა გაცილებით მეტ სამხედრო ტექნიკას ყიდულობს შეერთებული შტატებისაგან, ვიდრე ჰყიდის მას. გრძელვადიანი სამხედრო პროგრამის საფუძველზე დასავლეთ ევროპამ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან კიდევ უფრო მეტი ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკა უნდა შეისყიდოს".

ნატოს საბჭოს ვაშინგტონის სესიის მუშაობაში მეორე იყო აფრიკული მიმართულება. უფრო ზუსტად, საქმე ეხებოდა შეერთებული შტატების ცდებს გაეფართოებინა ჩრდილოატლანტიკური კავშირის მოქმედების სფერო დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ფარგლებს გარეთ, გაევრცელებინა იგი სხვა კონტინენტებზე, უწინარეს ყოვლისა — აფრიკაზე. „ჩვენი სიფხიზლე, — განაცხადა სესიაზე გამოსვლისას ჯ. კარტერმა, — ევროპით არ უნდა შემოიფარგლოს, ჩვენ ვერ დავრჩებით გულგრილნი აფრიკის ამბებისადმი როგორც მათი მნიშვნელობის გამო, ისე ნატოს ხანგრძლივ ინტერესებზე მათი ზემოქმედების გამო". ამით მან არსებითად აშკარად წამოაყენა თეზისი შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის მოქმედი სამხედრო ბლოკის გლობალური გამოყენების ჩანაფიქრის შესახებ.

ამ შემთხვევაშიც „საბჭოთა მუქარაზე" ლაპარაკის ნიღბით სესიაზე განიხილეს აფრიკის საქმეებში ნატოს ჩარევის გაფართოების გეგმები. დასავლეთის ქვეყნებმა, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით განახორციელეს შეიარაღებული შეჭრა ზაირში, ახლა თხზავენ მუდმივი ინტერვენტული ძალების შეკოწიწების გეგმებს, რათა დაიცვან საერთაშორისო მონოპოლიებისა და მათი აფრიკელი დამქაშების ინტერესები, ებრძოლონ პროგრესულ რეჟიმებს და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა: „შეერთებული შტატები არ გამორიცხავს, რომ იგი წამყვან როლს შეასრულებს ასეთი ძალების შექმნაში".

ნატოს ფორუმზე ამ საკითხშიც იჩინა თავი უთანხმოებამ, რაც მოწმობს, რომ ზოგიერთი ქვეყანა შიშობს, ჩათრეული არ აღმოჩნდეს ვაშინგტონის ახალ ავანტიურებში. „ვაშინგტონ პოსტის" თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ბელგია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა „ერთ ბანაკში" არიან და აფრიკაში „უფრო აქტიურ მოქმედებას" მოითხოვენ. ამავე დროს ზოგიერთი შედარებით პატარა ქვეყანა, ისეთები, როგორიცაა დანია, ჰოლანდია და ნორვეგია, „სიფრთხილეს იჩენენ".

აფრიკის მიმართ ნატოს საშიში ზრახვების განხორციელების მიზნით პარიზში კონფერენციაზე შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები, კონფერენციის მოწვევას მიიჩნევენ იმის დადასტურებად, რომ დასავლეთის სახელმწიფოები აპირებენ კიდევ უფრო აშკარა ფორმით ჩაერიონ აფრიკის საშინაო საქმეებში, — რათა მრავალეროვნულ ტრესტებს შეუნარჩუნონ კონტროლი აფრიკის უმდიდრესი რესურსებისადმი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნატოს ქვეყნები ახლა ამუშავებენ კოლექტიური კოლონიალიზმის პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით. ეს კი დიდ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელ აფრიკას.

რეაქციული წრეები ვერ ელევიან იმ ცდებს, რომ მსოფლიოს თავს მოახვიონ გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი, აღორძინონ „ცივი ომის" დრო, ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეს აშკარად ცხადყო ნატოს საბჭოს ვაშინგტონის სესიამ. და იმისათვის, რომ ჩავშალოთ ეს ავბედითი გეგმები, უფრო აქტიური და მიზანდასახული ბრძოლა მართებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დამყარდეს ეროვნულ განთავისუფლების ძალებსა და სოციალიზმის ქვეყნებს შორის.

ა. ალექსანდროვი.
(საქდესი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო უცხოელი სტუმრების თვალით

□

შეხვედრა მშვენიერებასთან

თუ შევაჯამებთ საქართველოში ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს, სხვას ვერაფერს ვიტყვით, თუ არა იმას, რომ ეს მშვენიერებასთან შეხვედრა იყო, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტის ა. ვიგანსკისათვის მიცემულ ინტერვიუში ფრანგმა ხელოვნებათმცოდნემ კატრინ ბორტოლომ.

— კატრინისა არ იყოს, მეც პირველად ვარ საქართველოში, — საუბარში ჩაერია საფრანგეთის ტურისტული ფირმის „პუენ კარდინოს" წარმომადგენელი ნატალი ბოჟენა, — და ამიერიდან ყოველნაირად გავუწევ რეკლამას ხელოვნების სპეციალისტებისა და მოყვარულების მოგზაურობას თქვენს მზიურ რესპუბლიკაში, რომელიც მდიდარია ძველი ხუროთმოძღვრების თანდაუდებელი ძეგლებითა და თანამედროვე ფრესკების, გრავიურის, მინანქრისა და თიხის ნაწარმის შედევრებით. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურის ექსპონატებისაგან შეიქმნებოდა შესანიშნავი გამოფენა, რომელსაც დიდი სიამოვნებით გაეცნობოდა ბევრი ფრანგი.

საქართველოში ყოფნის დროს 30-ზე მეტი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იწვია საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთას, სადაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარმა და ჯვარმა, ისინი იყვნენ მუზეუმებში.

— თბილისში ორჯონიკიძიდან ჩამოვედით საქართველოს სამხედრო გზით, — თქვეს სტუმრებმა, — სამუდამოდ გვეხსომება დარიალის თვალწარმტაცი ხეობა, დიდებული მყინვარწვერი.

ხელოვნების მუზეუმში სტუმრები მოიხიბლნენ შესანიშნავი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევართა გამოფენით.

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულწრფელი მადლობა გადავუხადო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს გურამ ჟღენტს, რომელმაც საქმის ღრმა ცოდნით გაგვაცნო ქართული ხელოვნება, აგრეთვე მუზეუმის ექსკურსიამძღოლს ზიზი ერისთავს, — თქვა კატრინ ბორტოლომ.

ფრანგ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცებამ", რომელიც მათ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში მოისმინეს.

(საქინფორმი).

გლდანის საცხოვრებელ მასივში

საქართველოს მთა-ბარში

გლდანის საცხოვრებელი მასივი საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი ახალმშენებლობაა.

ამასწინათ აქ გაიხსნა ახალი პოლიკლინიკა, მოხერხებულ ნათელ კაბინეტებში მუშაობენ ყველა სპეციალობის ექიმები, ქირურგები, თერაპევტები, ინფექციონისტები, სტომატოლოგები, გინეკოლოგები, ოტოლარინგოლოგები და სხვ.

პოლიკლინიკა № 31 ემსახურება 55 ათას მცხოვრებს.

• • •



სურათზე: პედიატრი ლია ნადირაძე და მისი ნორჩი პაციენტი. ახალი პოლიკლინიკა გლდანის მასივში.

ვ. სოკოლოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნათელ კაბინეტებში

ლვოველ მეგობრებთან

რამდენიმე წელია მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ ქუთაისის ფ. მახარაძის სახელობის რკინიგზის კლუბისა და ქ. ლვოვის რკინიგზის კულტურის სასახლის მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს.

ახლახან ლვოველთა მიწვევით ქუთაისელები ოთხ დღეს იყვნენ სტუმრად ქ. ლვოვში. რკინიგზელთა კულტურის სასახლის სცენაზე, სადგურის წითელ კუთხეში და სალოკომოტივო დეპოს კლუბში კონცერტებს მართავდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ექსპრესი" ლევან ჯაკობაიას ხელმძღვანელობით.

მასპინძლებმა საპატიო სიგელით დააჯილდოვეს სტუმრები.

წლეულს რკინიგზელის საკავშირო დღეს ლვოვის რკინიგზის კულტურის სასახლის ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ეწვევა ქუთაისს და კონცერტებს გაუმართავს ქუთაისელ რკინიგზელებსა და მათი ოჯახის წევრებს.

ივ. ბუხაიძე.

მასპინძლობს მალთაყვა

ვრცელი ქვიშიანი პლაჟი, ზღვისა და პალიასტომის ტბის მაცოცხლებელი ჰაერი, მწვანე ტყე-პარკის მყუდროება, ულტრაიისფერი სხივების ჭარბი ხანგრძლივობა, დაბალსიღრმიანი წყლის ზოლი — აი ის, რითაც იზიდავს დამსვენებლებს მალთაყვის ტურისტული ბაზა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კემპინგთა კომპლექსი. შარშან ტურბაზაში 11.600 ტურისტმა დაისვენა, ხოლო კემპინგთა კომპლექსში — 5 ათასამდე სტუმარმა. შარშანდელი მაჩვენებლებით ტურბაზის კოლექტივი მესამე ხარისხის რესპუბლიკური სიგელით და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.

წლევანდელ სეზონში მათ გაცილებით მეტი დამსვენებელი ეყოლებათ.

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

სისხლით ნაწრთობი...

ქართველი და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების მეგობრობისათვის

ახლახან თბილისში ნანა ხარებავამ ჩეხოსლოვაკიის სოფელ ილემნიციდან მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერს სკოლის დირექტორი ირინე ლუშტინცოვა. ის ნანას ბიძამისის, ალექსანდრე ყვინჩიას ბიოგრაფიულ ცნობებსა და მისი ფოტოსურათის გაგზავნას სთხოვს. ჩვენი მეგობარი იტყობინება, რომ მათი სკოლის პიონერული ორგანიზაცია ქართველი გმირის სახელობისაა.

ალექსანდრე ყვინჩია სამამულო ომის პირველსავე დღეებში ჩაება ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში. ის იბრძოდა სხვადასხვა ფრონტებზე და ბოლოს — ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე.

სამშობლოს დამცველთა რიგებში იყვნენ მისი უფროსი ძმები რაჟდენი და ევტიხი. მათი დაღუპვის ამბავი დედამ ნინო ჯალაღანიამ ომის წლებშივე შეიტყო. საწყალი ქალი უმცროსი შვილის გადარჩენაზედა ოცნებობდა.

და აი, სამამულო ომის დამთავრების წინა დღეს, 1945 წლის 8 მაისს ალექსანდრე თავის თანამებრძოლ ჩეხ ფრანტიშეკ ჰორაკთან ერთად დაიღუპა ფაშისტების წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში. ეს მოხდა სოფელ ილემნიცასთან.

ჩეხმა მეგობრებმა დიდი პატივით მიაბარეს მიწას მათი თავისუფლებისათვის დაღუპული ქართველი გმირი. მის საფლავს დღესაც სიყვარულით უვლიან. სოფლის ერთი ქუჩა ქართველი ვაჟკაცის ალექსანდრე ყვინჩიას სახელობისაა.

ტელევიზია

7 ივნისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 18.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 18.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 19.00 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი", 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.00 — დოკუმენტური ფილმები, 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. ბრაზილიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები (არგენტინიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ათასი ნაპერწკალი" (ფერადი), 19.05 — განცხადებები, 19.10 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 19.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქალბატონი — გლეხის ქალი", 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ევგენი ონეგინი". ლიტერატურული კითხვა.

რადიო

8 ივნისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — „ჩვენი მთაბარის ჰანგები", 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — „დილის კონცერტი", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.31 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ნ. მიასკოვსკი. მეცამეტე სიმებიანი კვარტეტი, 11.45 — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის შესახვედრად". საუბარი „ქალი — ახალი ცხოვრების მშენებელი", 12.15 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები, 12.25 — „სცენის ოსტატები", 12.36 — ა. გლაზუნოვი. ბალეტი „რაიმონდა", ნაწყვეტები, 12.46 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — „ეკრანის მელოდიები", 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ვ. გოკიელი. საორკესტრო პიესები, 13.55 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". გ. ლეონიძე — „ნატვრის ხე" (დასასრული), 14.20 — მღერის მ. ბიეშუ, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. „შენი ადგილი ცხოვრებაში", 18.00 — „აფხაზეთის ასსრ ახალი ამბები" (აფხაზეთის რადიოს გადაცემა), 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება" (კონცერტი), 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „ლენინური პარტია — ახალი ტიპის პარტია", 19.20 — პიესები არფისათვის ზ. ფურცხვანიძის შესრულებით, 20.30 — „თავისუფალ ერთა ძმურ ოჯახში", 22.00 — რ. შუმანი. საფორტეპიანო კონცერტი, 23.30 — დ. არაყიშვილი. ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე". ნაწყვეტები.

თეატრი

7 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — პეპო; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — არშინ მალ-ალან; მეტეხის თეატრი — ქართული ნოველების ხალამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს კონკურსს სიმფონიური ორკესტრის მეორე ვიოლინოების ჯგუფის კონცერტმაისტერისა და ამავე ჯგუფში ერთი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეუძლიათ წარმოადგინონ განცხადება მიმდინარე წლის 15 ივნისამდე ყოველდღე, გარდა შაბათისა და კვირისა.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კომიტეტის კადრების განყოფილებას.

მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 68, მესამე სართული, ოთახი № 333 ტელეფონი: 36-20-97, 36-23-11, ან 36-83-36.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1978-1979 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით (დღის დასწრებული) პირველ და მეორე კურსებზე, რესპუბლიკის შემდეგ სამედიცინო სასწავლებლებში:

თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი (დგებუაძის ქ. № 8; ტელ. 95-97-97) შემდეგ სპეციალობებზე:

საფერშლო — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი);

საფერშლო-ლაბორატორიული — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი ქართული და რუსული სექტორი);

მედდა — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I კურსი—რუსული სექტორი, II კურსი — ქართული სექტორი);

თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი (წერეთლის გამზ. № 42; ტელ. 95-74-16) შემდეგ სპეციალობებზე:

საბებიო — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი);

მედდა — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი);

მედდა — ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებისათვის — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი — ქართული და რუსული სექტორი).

ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებელი (ლესელიძის ქ. № 25; ტელ. 72-27-57; 72-31-68) შემდეგ სპეციალობებზე:

საფერშლო — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი);

მედდა — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი);

სანიტარული — საფერშლო — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი);

ფარმაცევტული — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი).

კბილის სატექნიკო — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე (I კურსი);

მედდა — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი; ბორჯომის ფილიალი — ბორჯომის საკურორტო ზონის მცხოვრებთათვის).

სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი (ჩოჩუას ქ. № 56; ტელ. 2-20-49) შემდეგ სპეციალობებზე:

საფერშლო — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე (I კურსი — რუსული სექტორი).

მედდა — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

მედდა — საშუალო სკოლის ბაზაზე II კურსი — რუსული სექტორი — გაგრის ფილიალი (გაგრის საკურორტო ზონის მცხოვრებთათვის).

ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი (შაუმიანის ქ. № 18; ტელ. 44-05), შემდეგ სპეციალობაზე:

მედდა — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი);

ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი (კლარა ცეტკინის ქ. № 15; ტელ. 5-57-32) შემდეგ სპეციალობაზე:

მედდა — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი);

ფოთის სამედიცინო სასწავლებელი (აკაკის ქ. № 63; ტელ. 13-92); შემდეგ სპეციალობაზე:

მედდა — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე (I კურსი).

მახარაძის სამედიცინო სასწავლებელი (მარქსის ქ. № 10; ტელ. 6-33-06) შემდეგ სპეციალობაზე:

მედდა — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

თელავის სამედიცინო სასწავლებელი (ნადიკვარის ქ. № 24. ტელ. 14-11) შემდეგ სპეციალობაზე:

საბებიო — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

ცხინვალის სამედიცინო სასწავლებელი (მოსკოვის ქ. № 4; ტელ. 23-19) შემდეგ სპეციალობაზე:

მედდა — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი — რუსული სექტორი).

ზუგდიდის სამედიცინო სასწავლებელი (ჯანაშიას ქ. № 3; ტელ. 66-62) შემდეგ სპეციალობაზე:

მედდა — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

ახალციხის სამედიცინო სასწავლებელი (რუსთაველის ქ. № 41; ტელ. 2-14-93) შემდეგ სპეციალობაზე:

მედდა — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

მიღების პირობები

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, რომელთაც მიღებული აქვთ რვაწლიანი ან საშუალო განათლება.

ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს რვაწლიანი ან შვიდწლიანი (მის რვაწლიანად გადაკეთებამდე) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მიიღებიან რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე — სათანადო ფორმით; დოკუმენტი რვაწლიანი ან საშუალო განათლების შესახებ (დედანი); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელის მოწერით; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის კადრების განყოფილების უფროსის ან ხელმძღვანელის მიერ (მოეთხოვება იმათ, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი). ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ).

სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედრო ვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

შენიშვნა: საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ბაზაზე შემსვლელებს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 6 თვის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა ისინი არ სწავლობდნენ, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ დამადასტურებელი ცნობა, დამოწმებული წარმოების, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

ქ. თბილისის სამედიცინო სასწავლებლებში მედდების სპეციალობაზე მიიღებიან მხოლოდ ქ. თბილისის, რუსთავის, მცხეთის, გარდაბნის, საგარეჯოს, კასპის, გორის, მარნეულის, ბოლნისის და თეთრი წყაროს მცხოვრებლები.

რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში (I კურსი) შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა, წაკითხულის შინაარსი — ქართული სექტორისათვის), რუსულ ენაში (კარნახი — რუსული სექტორისათვის), მათემატიკაში (ზეპირი).

საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში (II კურსი) შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება, ქართული სექტორისათვის), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება, რუსული სექტორისათვის), ქიმიაში (ზეპირი).

ის პირები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოებული არიან ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებისათვის", განთავისუფლდებიან მისაღები გამოცდებისაგან იმ საგნებში, რომლებშიც გათვალისწინებულია მისაღები გამოცდა.

მისაღები გამოცდების გარეშე განცხადებათა შეტანის მიხედვით (მიღების გეგმის 60%-ის ფარგლებში) ჩაირიცხებიან: ა) რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული ხუთოსნები, დაჯილდოებულნი ქების სიგელით, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი (8 კლასის ბაზაზე), რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ პროფტექნიკურ განათლებასთან ერთად მიიღეს ზოგადი საშუალო განათლებაც. პროფტექნიკური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი (10 კლასის ბაზაზე) მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ იქნებიან სავალდებულო სტაჟის გარეშე და მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ საერთო წესით; ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, პრაპორშჩიკები და მიჩმანები, რომლებიც ავადმყოფობის, ასაკის ან შტატის შემცირების გამო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და თადარიგში არიან გასული (დათხოვნიდან ორი წლის განმავლობაში).

შემსვლელთა საკონკურსო შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება მისაღებ გამოცდებზე მიღებული ნიშნები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების დოკუმენტში ნაჩვენები შეფასებების საშუალო არითმეტიკული ნიშანი.

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე, ყოველდღე (გარდა კვირისა).

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.





Argentina '78

მსოფლიოს XI ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ და დღეს...

გუშინ მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით გაიმართა ოთხი მატჩი: არგენტინა-საფრანგეთი (ბუენოს-აირესში), პოლონეთი-ტუნისი (როსარიოში), მექსიკა-გფრ (კორდოვაში) და იტალია, უნგრეთი (მარ-დელ-პლატაში). ეს უკანასკნელი მატჩი დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით — 3:1. ეს მათი მეორე გამარჯვებაა.

დღეს კი ოთხი შეხვედრაა: ავსტრია-შვეცია (ბუენოს-აირესში), ბრაზილია-ესპანეთი (მარ-დელ-პლატაში), შოტლანდია-ირანი (კორდოვაში) და ჰოლანდია-პერუ (მენდოსაში).

დღეს მოეწყობა არგენტინა-საფრანგეთის (20 საათზე) და ბრაზილია-ესპანეთის (22 საათზე და 30 წუთზე) შეხვედრების ტელეტრანსლაცია. ტელიგადაცემათა დასაწყისი — თბილისის დროით.

ჩემპიონატის ირგვლივ

„მუნჯი"

ასე უწოდებენ არგენტინაში მყოფი ჟურნალისტები ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ავსტრიელ ფეხბურთელ ერნსტ ჰეპელს. მას შემდეგ, რაც არგენტინაში ჩავიდა, ამ მწვრთნელს ჟურნალისტებმა ერთი სიტყვაც კი ვერ დააძვრევინეს.

„მას, როგორც ცეცხლის, ისე ეშინია კორესპონდენტებისა" — წერენ არგენტინული გაზეთები.

„კოსმოსურ ხომალდში უფრო იოლად შეაღწევ, ვიდრე ჰოლანდიელთა ვარჯიშზე", შენიშნა ერთმა არგენტინელმა ჟურნალისტმა. ჰოლანდიელთა მწვრთნელმა ერნსტ ჰეპელმა ამის თაობაზე თქვა: „ჩვენი გუნდის ნახვა ყველას შეუძლია... მატჩის დროს".

32 მსაჯი

არგენტინის ჩემპიონატს ემსახურება 32 მსაჯი. მათ შორის არის ლენინგრადელი ანატოლი ივანოვი. ივანოვამდე მსოფლიო ჩემპიონატებზე საბჭოთა კავშირიდან წარმოდგენილი იყვნენ მოსკოველი ნ. ლატიშევი, ბაქოელი ტ. ბახრამოვი და მოსკოველი პ. კაზაკოვი.

კრუიფი არგენტინაშია, მაგრამ...

ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი არგენტინაში ჩავიდა, როგორც... დიდი ბრიტანეთის ტელევიზიის კომენტატორი. მასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს კომენტარს უკეთებს ცნობილი ინგლისელი მწვრთნელი ბრაიან კლუგი, რომლის გუნდი „ნოტინჰემ ფორესტი". წლეულს ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

ვინ სად ცხოვრობს?

„კარგი სასტუმრო თითქმის ნახევრად გამარჯვებას ნიშნავს" — კმაყოფილებით თქვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელმა შიონმა, რომელსაც ძალიან მოსწონს თავისი გუნდის ოტელი „ასკოჩინგა" კორდობის მახლობლად. პოლონელები და ტუნისელები ცხოვრობენ ქალაქ როსარიოს სასტუმრო „ლიბერტადორესში". როგორც გამოირკვა, მათ შემთხვევით აირჩიეს ერთი და იგივე სასტუმრო, არგენტინის პრესა კი უკმაყოფილოა.

— პოლონელები და ტუნისელები ერთ ჯგუფში გამოდიან, ახლა კი ერთად ცხოვრობენ და შეიძლება რაიმე მოილაპარაკონ კიდეც.

სსრ კავშირის თასზე

მინიმალური ანგარიშით

„ლოკომოტივი" (მოსკოვი)-„დინამო" (თბილისი)—1:0 (1:0)

მოსკოვი. 6 ივნისი. „ლოკომოტივის" სტადიონი.

მსაჯი: მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა).

„დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (მინაშვილი), მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ქორიძე, ყიფიანი (ჩელებაძე), შენგელია.

თუ გავიხსენებთ, რომ სასტუმრო მატჩებში სტუმრად გატანილი ერთი გოლი ორად ფასობს, ცხადი იქნება რარიგ საჭირო იყო ამის გაკეთება, როცა შენი კარი მეტოქეებმა ერთხელ უკვე აიღეს. ეს შეძლო გაზაევმა პირველი ტაიმის ბოლოს.

შესვენების შემდეგ დინამოელები ბევრს ეცადნენ, მოიპოვეს აშკარა სათამაშო უპირატესობა, შექმნეს მრავალი საგოლე მომენტი, მაგრამ... მათი დარტყმები ხან არაზუსტი იყო, ხან კი რკინიგზელთა მეკარე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

დინამოელები მორიგ სასტუმრო შეხვედრას თბილისში გამართავენ 21 ივნისს.

ჭადრაკი: სამი ტურიც და...

ქუთაისი. (ტელეფონით, „კომუნისტის" სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში გათამაშდა მეთოთხმეტე ტურის პარტიები. ამ ტურში მესხმა დაამარცხა შეყილაძე, ქ. მელაშვილმა — კობაიძე, ბელოზიოროვამ — თანდაშვილი, წერეთელმა — გოგია, გურგენიძემ — იმნაძე, ნ. მელაშვილმა — ქასოშვილი. ყაიმით დამთავრდა ფაჩუაშვილ-მუსერიძისა და კახაბრიშვილ-ხუგაშვილის შეხვედრები. გაიმართა გადადებული პარტიების ნაწილი. ჰერაძემ დამარცხა აბზიანიძე, ხოლო ნ. მელაშვილისა და კახაბრიშვილის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

თოთხმეტი ტურის შემდეგ ხუგაშვილს 12 ქულა აქვს, წერეთელს — 11,5, ნ. მელაშვილს — 10,5, მესხს, კობაიძეს, ქ. მელაშვილსა და კახაბრიშვილს — 9,5-9,5 ქულა. დარჩა კიდევ სამი ტური.

სურათზე: ტურნირის მონაწილენი თამაშის დროს.
ლ. ზარუაშვილის ტექსტი და ფოტო.

ფიშერი — ელექტრონული მანქანა 3:0

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ცნობილი მოჭადრაკეების შეხვედრები... ელექტრონულ მანქანებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პარტიები ყოველთვის მოჭადრაკეების გამარჯვებით როდი მთავრდება. რამდენჯერმე დამარცხდა ელექტრონულ მანქანებთან შოტლანდიელი საერთაშორისო ოსტატი დ. ლევი. მას მიბაძეს ინგლისელმა დიდოსტატმა მ. სტინმა და ისეთმა გამოჩენილმა მოჭადრაკემაც კი, როგორიც დიდოსტატი რ. ჰიუბნერია (გფრ).

და აი, მასაჩუსეტსის (აშშ) ტექნოლოგიური ინსტიტუტის მანქანას ეთამაშა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი რ. ფიშერი. საინტერესო ის იყო, რომ ფიშერს 1972 წლის აგვისტოს მიწურულიდან მოყოლებული არავისთან უთამაშნია. ეს პარტიები, რომლებიც ამერიკულ ჟურნალ „კომპიუტერ ჩესს ნიუსლეტერში" გამოქვეყნდა, ამ დღეებში მოსკოვის ყოველკვირეულმა „64"-მა გადაბეჭდა.

რა მოხდა ამ პარტიებში? რ. ფიშერი მანქანისათვის მეტად უხერხული პარტნიორი აღმოჩნდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ავტომატს არცერთი შეცდომა არ აპატია.

პირველ შეხვედრაში ფიშერი შავებით თამაშობდა და თავისი საყვარელი სიცილიური დაცვა აირჩია. შუა თამაშში დიდოსტატმა თანდათან აჯობა „მეტოქეს" და შეტევა საშამათო იერიშით დააგვირგვინა.

მეორე პარტიაში ექს-ჩემპიონმა თეთრებით ძველებურ მეფის გამბიტს მიმართა. ფიგურის შეწირვით ფიშერმა გააშიშვლა „მეტოქის" მეფის ფრთა და უკვე 21-ე სვლაზე შავებს შამათი გამოუცხადა.

ყველაზე უფრო სოლიდური მესამე პარტია იყო, სადაც ფიშერმა შავებით ისევ სიცილიურ დაცვას მიმართა. ავტომატმა ერთ-ერთი თანამედროვე სისტემა „აირჩია", რომლის წინააღმდეგაც ამერიკელმა დიდოსტატმა პაიკის შეწირვა განახორციელა. მძაფრი ბრძოლის შემდეგ ფიშერმა გაიყვანა ახალი ლაზიერი და ეს პარტიაც შამათით დამთავრდა.

მართალია, ჯერჯერობით მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მანქანის თამაშის დონე მაღალი არ არის, მაგრამ აქაური მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მალე იგი გაცილებით უკეთ იქნება პროგრამირებული.

მხოლოდ დიდოსტატები

გუშინ იუგოსლავიის ქალაქ ნიკშიჩში გაიხსნა საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. ამ ასპარეზობაში მხოლოდ დიდოსტატები მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბ. გულკო, რ. ვაგანიანი, უნგრეთის № 1 მოჭადრაკე, პრეტენდენტთა მატჩების მონაწილე ლ. პორტიში, ჩეხოსლოვაკიის № 1 მოჭადრაკე, პრეტენდენტთა მატჩების მონაწილე ვ. ჰორტი, იუგოსლავიის № 1 მოჭადრაკე ლ. ლუბოევიჩი, ი. ტიმანი (ჰოლანდია), ზ. რიბლი (უნგრეთი), ვ. ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), უ. ანდერსონი (შვეცია), ს. გლიგორიჩი, დ. ველიმიროვიჩი და დ. ივანოვიჩი (სამივე — იუგოსლავია).

ტურნირი, რომლის ორგანიზატორებმა საპატიო სტუმრად მიიწვიეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დიდოსტატი მ. ბოტვინიკი, 26 ივნისამდე გასტანს.

მოკლედ

მშვილდოსნობა. თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა „ბურევესტნიკის" სპორტსმენთა რესპუბლიკური პირველობა. ამ ასპარეზობაში თავი ისახელა ქეთევან ლოსაბერიძემ. მან 1270 ქულა დაგროვა და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა.

გაძევებული არიან სსრ კავშირიდან

საბჭოთა მოქალაქეების იმ მრავალ განცხადებასთან და წერილთან დაკავშირებით, რომ ამა წლის აპრილ-მაისში კიევში მიმდინარე „ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის" გამოფენის გიდები ვ. ლუპანი და ე. მაშჩოკი ეწეოდნენ საბჭოთა კავშირისადმი მტრულ ქამქეზებლურ საქმიანობას გამოფენის დამთვალიერებელთა შორის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს პროტესტი განუცხადა ამ ამერიკელი მოქალაქეების მიერ ჩადენილი აკრძალული მოქმედების გამო და მოითხოვა საბჭოთა კავშირიდან მათი ვადამდე წასვლა.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-08, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოში — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული—99-87-63, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54.